ПРОЛЕТАРЛЕБО ᲔᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲡᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 43-Ე ᲬᲚᲘ | № 300 (12508) | ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 25 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1962 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲣᲙᲐᲢᲐᲙᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ჩაის გადამწონი ფაბრიკის (დირექტორი გ. სარჯველაძე) კოლექტივმა 1962 წლის საწარმოო გეგმა 19 დეკემბრისათვის შეასრულა. გამოშვებულია 8.428,5 ტონა ჩაი, რაც გეგმის 100,3 პროცენტს შეადგენს. თერთმეტ თვეში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 4,4 პროცენტით, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 114 ათასი მანეთით. მიღებულია ზეგეგმითი დაგრავება და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეტანილია 490 ათასი მანეთი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველოს მთელმა რიგმა საწარმოებმა წლიური გეგმა პირველი დეკემბრისათვის შეასრულეს და გეგმის გადამეტებით სამშობლოს დიდძალი პროდუქცია მისცეს. მათ შორის სოხუმის ხორცკომბინატმა 121 ათასი მანეთის პროდუქცია, ბორჯომის ხორცისა და რძის კომბინატმა — 72 ათასი მანეთისა, ლაგოდეხისამ — 26 ათასი მანეთისა და ლანჩხუთისამ — 11 ათასი მანეთის პროდუქცია.

საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე ხაშურის, წყალტუბოს, სიღნაღის, თიანეთის და მახარაძის ხორცისა და რძის მრეწველობის კომბინატებმა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ტყავსაგალანტერიო ფაბრიკის კოლექტივმა 10 დეკემბრისათვის საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 100,3 პროცენტით შეასრულა. გამოშვებულია 2.170 ათასი მანეთის პროდუქცია ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.168 ათასი მანეთისა.

ᲛᲐᲠᲔᲚᲘᲡᲘᲡ გრეხილი ავეჯის ფაბრიკის კოლექტივმა წლიური საწარმოო გეგმა 13 დეკემბრისათვის 100,5 პროცენტით შეასრულა. გასულ პერიოდში გამოშვებულია 33.200 ცალი სკამი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 330 ათასი ცალისა. წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოშვებული იქნება 20 ათასი ცალი.

ᲕᲠᲪᲚᲘᲡ „ᲡᲐᲥᲛᲘᲜᲬᲘᲚᲜᲐᲧᲚᲔᲑᲘᲡ“ თბილისის ხილეული ფყლების ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის საწარმოო გეგმა 10 დეკემბრისათვის შეასრულა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა დიდძალი ხილეულის ფყლები.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ კონიაკის ქარხნის კოლექტივმა სამშობლოს წლიური გეგმის შესრულება 20 დეკემბრისათვის უპატაკა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 27.500 ბოთლი კონიაკი. თერთმეტ თვეში გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 145.200 მანეთით. წარმოების კოლექტივის მტკიცე გადაწყვეტილებაა დამატებით კიდევ გამოუშვას 234.540 ბოთლი მაღალხარისხოვანი კონიაკი.

ქარხნის საერთო წარმატებაში განსაკუთრებით ისახელა თავი საკუთაო, ჩამოსხმისა და გაფორმების საწარმოო უბანმა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მეოთხე სატრიკოტაჟო ფაბრიკის (დირექტორი ი. ჭკუასელი) კოლექტივმა წლიური გეგმის შესრულება სამშობლოს 2 დეკემბრისათვის ასეთი მაჩვენებლებით უპატაკა: გამოშვებულია 1.157.000 მანეთის პროდუქცია ნაცვლად 1.152.000 მანეთისა. პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გადიდდა 0,7 პროცენტით, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 29 ათასი მანეთით, რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეტანილია 10 ათასი მანეთი.

წარმოების კოლექტივმა ვალდებულება იკისრა დეკემბერში გეგმის გადამეტებით გამოუშვას 110 ათასი მანეთის პროდუქცია.

ᲔᲮᲒᲘ დოვლათი ტრიალებს წყლს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის კელასურის საეკსპერიმენტო ბაზაში. ციტრუსოვანთა მაღალმა მოსავალმა მშრომელთა გული გაახარა. ახალგაზრდულ პლანტაციებში მეციტრუსეები ბეჯითად მუშაობენ, რომ დროულად აიღონ მოყვანილი მოსავალი. დაწინაურდა ლ. კობოზევა, რომელიც ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფის ყოველდღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს.

ფოტო ს. კოროტკოვისა.

ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲠᲔᲣᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲛ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲙᲐᲠᲒᲘ საჩუქარი უძღვნეს სამშობლოს საახალწლოდ საბჭოთა საქართველოს საწარმოთა მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ ვადამდე შეასრულა მთლიანი პროდუქციისა და მეტ წილ სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 6 პროცენტით და მეტად გაიზარდა.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ადრე გამოუშვეს პროდუქცია ახალი, 1963 წლის ანგარიშში თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატმა, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველომ, ტყვარჩელის შახტმშენმა, გალის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობა-ქარხანამ, გურჯაანის საკონსერვო ქარხანამ და რესპუბლიკის სხვა საწარმოებმა.

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული სამრეწველო საწარმოთა მუშები და სპეციალისტები ისახავენ ახალ მიჯნებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, რომლებიც უნდა აიღონ 1963 წელს. (საქდესი).

ᲛᲘᲚᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ რკინიგზის კოლექტივმა, რომელიც იბრძვის პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და რკინიგზელთა საკავშირო თათბირის მონაწილეთა მიმართვის განხორციელებისათვის, 21 დეკემბერს შეასრულა დატვირთვის წლიური გეგმა. წლის ბოლომდე დარჩენილ დღეებში ნაკისრი სოციალისტური ვალდებულების ანგარიშში, რომელიც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდება, იგი გეგმის გადამეტებით დატვირთავს სახალხო-სამეურნეო ტვირთებს.

შვიდწლედის დასაწყისიდან რკინიგზის კოლექტივმა წელს პირველად მიაღწია სატვირთო ვაგონების ბრუნვის დაჩქარებას დადგენილ წლიურ ნორმასთან შედარებით. გადაჭარბებით სრულდება ტონა-კილომეტრობით ტვირთბრუნვის, აგრეთვე მგზავრების გადაყვანის ვალდებულება და სატვირთო მატარებლების წონისა და ტექნიკური სიჩქარის ნორმები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სატვირთო მატარებლების მოძრაობის გრაფიკის შესრულება და ელმავლების გამოყენების მაჩვენებლები.

შრომის ნაყოფიერების ზრდითა და ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირებით რკინიგზის კოლექტივმა არა მარტო გადაჭარბა წლიურ დავალებას, არამედ შვიდწლედის საკონტროლო ციფრებსაც კი გაუსწრო. რკინიგზა რენტაბელურად და ზეგეგმითი მოგებით მუშაობს.

რკინიგზელთა შეუპოვარი შრომის კარგი მედეგები არ ჩრდილავენ მათ ნაკლოვანებებს და მუშაობის შემდგომი აღმავლობისა და გაუმჯობესების დიდ რეზერვებს. ამერკავკასიის მაგისტრალის მშრომელებმა, რომლებიც აღფრთოვანებულნი არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, კომუნისტური შრომისათვის პატრიოტული მოძრაობის შემდგომი განვითარების საფუძველზე იკისრეს შვიდწლედის მეხუთე წელს წარმატებით გადაჭრან ახალი დიდი ამოცანები.

(საქდესი).

ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲠᲔᲣᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲛ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲠᲔᲣᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲛ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲘᲡᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲡ (დირექტორი ბ. ᲩᲮᲘᲙᲕᲐᲫᲔ) კოლექტივმა 1962 წლის ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ 19 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ. ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ 8.428,5 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘ, ᲠᲐᲪ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ 100,3 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲡ ᲨᲔᲐᲯᲐᲠᲔᲑᲡ. ᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ 4,4 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ, ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ 114 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲗ. ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲖᲔᲒᲔ�გᲛᲘᲗᲘ ᲓᲐᲒᲠᲐᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ 490 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

ᲛᲘᲚᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ რკინიგზის კოლექტივმა, რომელიც იბრძვის პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და რკინიგზელთა საკავშირო თათბირის მონაწილეთა მიმართვის განხორციელებისათვის, 21 დეკემბერს შეასრულა დატვირთვის წლიური გეგმა. წლის ბოლომდე დარჩენილ დღეებში ნაკისრი სოციალისტური ვალდებულების ანგარიშში, რომელიც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდება, იგი გეგმის გადამეტებით დატვირთავს სახალხო-სამეურნეო ტვირთებს.

შვიდწლედის დასაწყისიდან რკინიგზის კოლექტივმა წელს პირველად მიაღწია სატვირთო ვაგონების ბრუნვის დაჩქარებას დადგენილ წლიურ ნორმასთან შედარებით. გადაჭარბებით სრულდება ტონა-კილომეტრობით ტვირთბრუნვის, აგრეთვე მგზავრების გადაყვანის ვალდებულება და სატვირთო მატარებლების წონისა და ტექნიკური სიჩქარის ნორმები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სატვირთო მატარებლების მოძრაობის გრაფიკის შესრულება და ელმავლების გამოყენების მაჩვენებლები.

შრომის ნაყოფიერების ზრდითა და ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირებით რკინიგზის კოლექტივმა არა მარტო გადაჭარბა წლიურ დავალებას, არამედ შვიდწლედის საკონტროლო ციფრებსაც კი გაუსწრო. რკინიგზა რენტაბელურად და ზეგეგმითი მოგებით მუშაობს.

რკინიგზელთა შეუპოვარი შრომის კარგი მედეგები არ ჩრდილავენ მათ ნაკლოვანებებს და მუშაობის შემდგომი აღმავლობისა და გაუმჯობესების დიდ რეზერვებს. ამერკავკასიის მაგისტრალის მშრომელებმა, რომლებიც აღფრთოვანებულნი არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, კომუნისტური შრომისათვის პატრიოტული მოძრაობის შემდგომი განვითარების საფუძველზე იკისრეს შვიდწლედის მეხუთე წელს წარმატებით გადაჭრან ახალი დიდი ამოცანები.

(საქდესი).

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲚᲐᲨᲫᲠᲔᲜᲘ

ᲒᲐᲚᲘ. (საკ. კორ.). ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში იგზავნება გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობის ნარინჯოვანთა ნაყოფი.

— შვიდწლედის მეოთხე წელს, — განაცხადა ჩვენთან საუბარში მეურნეობის დირექტორმა გ. ჩაჩიბაიამ, — გეგმით სახელმწიფოსათვის უნდა მიგვეყიდა 715 ტონა მანდარინი, 420 ტონა ფორთოხალი და 900 ათასი ცალი ლიმონი. კოხორელებმა ნაკისრი ვალდებულება უკვე გადაჭარბებით გაანაღდეს. სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.200 ტონაზე მეტი მანდარინი, 380 ტონა ფორთოხალი და ორ მილიონ ცალზე მეტი ლიმონი.

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲘᲜᲔᲑᲗᲐᲜ

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ რაიონის ციტრუსოვანთა ბაღებში „ოქროს რთველი“ დასასრულს უახლოვდება. ათეულ ტონობით ციტრუსები მიიღო დედა-სამშობლომ გეგმის გადამეტებით ლანჩხუთელი მეციტრუსეებისაგან. ციტრუსების ყველაზე დიდი შემფუთავი ქარხანა რაიონის ცენტრშია. ამ შემფუთავ ქარხანას ციტრუსებს აწვდიან ჯანჯათის, აცანის, ღესის, მამათის, ორაგვეს და ეწერის კოლმეურნეობები. ამ ქარხანამ წელს გეგმით 90 ტონა ციტრუსები უნდა გადამუშაოს. შევდივართ ამ ქარხანაში.

აი თეთრხალათიანი კაცი გულდასმით სინჯავს მისაღებსა და მზა პროდუქციას. იგი ამ შემფუთავი ქარხნის დირექტორი აკრონომი ს. ხუხუნაიშვილია. ჩვენმა ქარხანამ, — ამბობს იგი, — გეგმა 150 პროცენტით შეასრულა. სასახელოდ იშრომეს ქარხნის მოწონაგე მუშებმა კ. სამსონიამ, კ. იმნაიშვილმა, რ. მახარაძემ და სხვებმა. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ციტრუსოვანთა დახარისხებას, ყველა დაინტერესებულია მიაწოდოს მშრომელი ადამიანის სუფრას მაღალხარისხოვანი მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი.

ლანჩხუთის ეს შემფუთავი ქარხანა თავის პროდუქციას აწვდის მოსკოვის მშრომელებს.

Შ. ᲯᲔᲚᲐᲫᲔ.

ᲛᲘᲣᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲗᲔᲗᲠᲐᲜᲨᲘ

ᲗᲔᲗᲠᲐᲜᲘ, 24 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ თეთრანში მყოფი საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელსაც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. გ. ლაპინი მეთაურობს, მიიღო ირანის შაჰმა. შაჰთან გამართულ მიღებას დაესწრო აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ირანში ნ. მ. პეგოვი.

საბჭოთა დელეგაციის წევრებსა და ირანის შაჰს შორის გაიმართა საუბარი და აზრთა გაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

შაჰთან მიღების შემდეგ გაიმართა საბჭოთა დელეგაციის წევრების შეხვედრა ირანის პრემიერ-მინისტრ ა. ალამათან. საუბრის დროს მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები სხვადასხვა საკითხზე.

დღეს საღამოს სსრ კავშირის ელჩმა ირანში ნ. მ. პეგოვმა დარბაზობა გამართა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად. დარბაზობაზე იყვნენ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ა. არამი, ირანის თვალსაჩინო პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები, საბჭოთა დელეგაციის წევრები, საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები და ჟურნალისტები.

დარბაზობამ გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲓᲐᲙᲐᲞᲐᲥᲢᲘᲛᲠᲔᲑᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ

ᲓᲔᲚᲰᲘ, 24 დეკემბერი. (საკდესი). ღღეს გაზეთმა „სტეიტსმენმა“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ „ინდოეთის თავდაცვის კანონის „საფუძველზე კალკუტაში დაუპატიმრეს ინდოეთის კომუნისტური პარტიის სამი წევრი — დასავლეთ ბენგალიის შტატის საკანონმდებლო კრების წევრი ილი მიტრა, შტატის საკანონმდებლო საბჭოს წევრი პროფესორი ნირმალი ბაღჩი და მარაპარი კავირაჯი.

ᲡᲢᲣᲓᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲙᲐᲚᲘᲛᲐᲜᲢᲐᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ

ᲯᲐᲙᲐᲠᲢᲐ, 24 დეკემბერი. (საკდესი). ინდონეზიის ხალხი და მთავრობა დიდი სიმპათიით ეკიდება ჩრდილოეთ კალიმანტანის (ჩრდილოეთი ბორნეო) ხალხის ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისათვის, განაცხადა პრეზიდენტმა სუკარნომ, რომელიც რელიგიურ ცერემონიაზე გამოვიდა.

ინდონეზია, თქვა მან, მზად არის მხარი დაუჭიროს არა მარტო კალიმანტანის ხალხს, არამედ ყოველ სხვა ხალხს, რომელიც აღსდგა კოლონიზატორთა წინააღმდეგ, ეროვნული თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲓᲐᲙᲐᲞᲐᲥᲢᲘᲛᲠᲔᲑᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ

ᲓᲔᲚᲰᲘ, 24 დეკემბერი. (საკდესი). ღღეს გაზეთმა „სტეიტსმენმა“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ „ინდოეთის თავდაცვის კანონის „საფუძველზე კალკუტაში დაუპატიმრეს ინდოეთის კომუნისტური პარტიის სამი წევრი — დასავლეთ ბენგალიის შტატის საკანონმდებლო კრების წევრი ილი მიტრა, შტატის საკანონმდებლო საბჭოს წევრი პროფესორი ნირმალი ბაღჩი და მარაპარი კავირაჯი.

ᲡᲛᲚᲘᲓᲐᲠᲓᲒᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲙᲐᲚᲘᲛᲐᲜᲢᲐᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ

ᲯᲐᲙᲐᲠᲢᲐ, 24 დეკემბერი. (საკდესი). ინდონეზიის ხალხი და მთავრობა დიდი სიმპათიით ეკიდება ჩრდილოეთ კალიმანტანის (ჩრდილოეთი ბორნეო) ხალხის ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისათვის, განაცხადა პრეზიდენტმა სუკარნომ, რომელიც რელიგიურ ცერემონიაზე გამოვიდა.

ინდონეზია, თქვა მან, მზად არის მხარი დაუჭიროს არა მარტო კალიმანტანის ხალხს, არამედ ყოველ სხვა ხალხს, რომელიც აღსდგა კოლონიზატორთა წინააღმდეგ, ეროვნული თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

ᲩᲝᲛᲑᲔ ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲝᲑᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 24 დეკემბერი. (საკდესი). კატანგელმა გამთიშველებმა ახალი ავაზაკური აქტი ჩაიდინეს. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ელიზაბეტვილიდან იუწყება, ღღეს ჩომბეს ყაზარმერიამ ჩამოაგდო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ვერტმფრინავი.

ᲐᲜᲘᲢᲐ ᲐᲠᲔᲜᲡᲘ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲡ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 24 დეკემბერი. (საკდესი). ნოიეს (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) სასჯელაღსრულებელ დაწესებულებიდან გაათავისუფლეს გერმანელი პატრიოტი ანიტა არენსი. ამ რამდენიმე ღღის წინათ ეს მძიმედ ავადმყოფი ქალი ვოსტმის სასჯელაღსრულების საავადმყოფოდან გადაიყვანეს ნოიესის სასჯელაღსრულებელში. როგორც გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ იუწყება, ბინის ხელისუფლები იძულებული გახდნენ გაეთავისუფლებინათ ანიტა არენსი იმის გამო, რომ პროტესტს გამოთქვამდა გერმანიისა და საზღვარგარეთის საზოგადოებრიობა.

ანიტა არენსი დასავლეთ გერმანიის პოლიციამ დაუპატიმრა მიმდინარე წლის სექტემბრის დამლევს.

მასთან ერთად დაუპატიმრეს მისი ქმარი ფრანც არენსიც. დაპატიმრების მიზეზად გამოიყენეს არენსების კომუნისტური მრწამსი და მათი დაუცხრომელი ბრძოლა მშვიდობისათვის.

ორივე პატრიოტის დასაცავად ხმა აღიმაღლა მიუნხენელ ანტიფაშისტთა და ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილ ტუსაღთა დიდმა ჯგუფმა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრისათვის გაგზავნილ წერილში მიუნხენელმა ანტიფაშისტებმა მოითხოვეს ანიტა და ფრანც არენსების დაუყოვნებლივ განთავისუფლება. „ბევრი ჩვენგანი იცნობს ფრანც არენსს ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ერთად ვიმყოფებოდით ბაჰაუს საკონცენტრაციო ბანაკში, როგორც პატიმარნი ადამიანისა და დემოკრატს, — ნათქვამია წერილში. — ჩვენ არ შეგვიძლია გავიგოთ, თუ რატომ ჰყავთ რამდენიმე თვის განმავლობაში დაპატიმრებული იგი და მისი ცოლი, რომლებიც მძიმედ არიან ავად“.

არენსების განთავისუფლება მოითხოვა აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ათასობით მოქალაქემ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა მოუწოდა გერმანიის საზოგადოებრიობას პროტესტი გაეგზავნა დიუსელდორფის პროკურატურისათვის და მოეთხოვა პატიოტთა განთავისუფლება.

როგორც ადნის საagენტო იუწყება, ფრანც არენსი კვლავ საპყრობილეშია.

ᲜᲐᲡᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 24 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ პრეზიდენტმა ნასერმა სიტყვა წარმოთქვა პორტ-საიდში ინგლისელ-ფრანგ-ისრაელ აგრესორებზე გამოჯავების ღღის ზეიმზე და განაცხადა, რომ პორტ-საიდისათვის ბრძოლების დროს ეგვიპტის ხალხი დამშვიდებული იყო, რადგანაც გრძნობდა, მსოფლიო საზოგადოებრიობა ჩემს მხარეზეაო.

პრეზიდენტი ნასერი შეეხო იემენში მიმდინარე მდგომარეობას და უარყო დასავლეთის საინფორმაციო საagენტოთა ის ცნობები, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ჯარებმა „დიდი“ ზარალი განიცადეს იემენში.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ დაკარგა 21 ოფიცერი და 115 ჯარისკაცი.

„ახლა, — განაცხადა დასასრულ ნასერმა, — მეტი რწმენით, ვიდრე ოდესმე წინათ, და მიუხედავად ყოველგვარი სიცრუისა, ჩვენ კვლავაც განვამტკიცებთ ჩვენს ქვეყანას, რამდენადაც ვიცით ჩვენი მიზანი“.

ᲐᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ. ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ელექტროსადგურების მუშაკებმა ვადამდე, 23 დეკემბერს შეასრულეს ელექტროენერგიის წარმოების წლიური გეგმა და 1962 წელს გამოიმუშავებენ 31 მილიარდი კილოვატსაათით მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე 1961 წელს.

Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ — ᲡᲐᲒᲠᲔᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ ბროშურად გამოიცა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა“.

ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲐᲓ გაერთიანებულ რესპუბლიკაში არაბულ ენაზე ბროშურად გამოვიდა სრული ტექსტი ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა“. ბროშურის ტირაჟია 25 ათასი ცალი.

ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების სრული ტექსტი გამოაქვეყნა აგრეთვე გაზეთმა „ალ-გუმჰურიამ“.

ᲠᲐᲜᲒᲣᲜᲘᲡ ერთ-ერთმა უდიდესმა გაზეთმა „გარდიანმა“ სრულად გამოაქვეყნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება — „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა“.

ხრუშჩოვის მოხსენება დაბეჭდილია ინგლისურ ენაზე და გაზეთის ოთხი გვერდი უკავია.

ᲒᲐᲐᲤᲗᲠᲔᲒᲣᲚᲘ ᲡᲠᲝᲚᲐ ᲔᲚᲘᲖᲐᲑᲔᲗᲕᲘᲚᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 24 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საagენტოს კორესპონდენტი იუწყება, ღღეს დილით ელიზაბეტვილში გააფთრებული სროლა ატყდა კატანგის ეანდარმერიასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ეთიოპიელთა კონტინგენტს შორის. ქალაქის აფრიკული უბნების ახლოახლო რაიონები ტყვიამფრქვევისა და შამხანის ძლიერ ცეცხლში მოქცეულა. ეთიოპიის ჯარების წარმომადგენელთა განცხადებით, სროლა პირველმა წამოიწყეს კატანგელმა სეპარატისტებმა.

ᲰᲐᲠᲘᲡ ᲨᲢᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 24 დეკემბერი. (საკდესი). პროცესი ჩვენი პარტიის წინაადმდეგ სამარცხვინო ფურცელია ამერიკელი ხალხის ისტორიაში, განაცხადა გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოს“ კორესპონდენტთან სოფიაში ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის თვალსაჩინო მოღვაწემ ჰენრი უინსტონმა, რომელიც ახლა ბულგარეთში იმყოფება, იუწყება ბულგარეთის დეპეშათა საagენტო. პირველად ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში, ხაზგასმით აღნიშნა უინსტონმა, ასამართლებენ პოლიტიკურ პარტიას. ჰ. უინსტონმა აღნიშნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია მაკარენის რეაქციული კანონის საფუძველზე, საფრ

ვქმნიდეთ ხალხისათვის, კომუნიზმისათვის!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. თ. ილიჩოვის სიტყვა

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე 1962 წლის 17 დეკემბერს

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა უკანასკნელი შეხვედრის დროიდან დაახლოებით ორნახევარმა წელმა განვლო.

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, ბევრი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ჩვენს ქვეყანაში და საერთაშორისო ასპარეზზე. გაიმართა პარტიის XXII ყრილობა. მიღებულია სკკპ ახალი პროგრამა. ჩვენი პარტია და საბჭოთა ხალხი ლენინური კურსით მიდიან კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. კიდევ უფრო ამაღლდა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი.

დღეს ჩვენ კვლავ შევიკრებიეთ, რათა ერომანების გავუწიაროთ აზრები სოციალისტური კულტურის განვითარების იმ საკითხებზე, რომლებიც ყველაზე მეტად გვაღელვებს ყველას. რა თქმა უნდა, განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი არაფერი მომხდარა. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილია საქმის ვითარებით კულტურის დარგში — იგი ვითარდება ჯანსაღ საფუძველზე, სწორი მიმართულებით, დროის შესაბამისად. ჩვენი ხელოვნება მარჯვედ ურტყამს საჭირო მიზანში.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრები, ნდობით აღსავსე და გულახდილი საუბრები საბჭოთა კულტურის მოღვაწეებთან უკვე ტრადიციად იქცა, რომელსაც ყველა იწონებს.

წარსული საუბრები, ყველაფერით ჩანს, სასარგებლო იყო. მათ დადებითი როლი შეასრულეს საბჭოთა კულტურის მთელი შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაციაში. დღევანდელი შეხვედრა, რომელიც, იმედი უნდა ვიქმნიოთო, აგრეთვე სასარგებლო იქნება, ამ კარგი ტრადიციის განვითარებას ემსახურება. იგი უეჭველია, ხელს შეუწყობს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შემდგომ შეკავშირებას კომუნიზმის მშენებლობის კეთილშობილური საქმისადმი სამსახურის ნიადაგზე.

ასეთი საუბარი მომწიფებულად მიიჩნიეს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმაც, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმაც. წამოიჭრა საკმაოდ ბევრი მწვავე იდეოლოგიური საკითხი, რომლებშიც საჭიროა ერთად გავერკვეთ, ცხადყოთ თვალსაზრისები, დავაზუსტოთ პოზიციები, რათა კიდევ უფრო წარმატებით ვიაროთ წინ.

ჩვენი მხატვრული ინტელიგენციის იდეური არსენალი უკანასკნელ ხანს შეივსო შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ისეთი შესანიშნავი დოკუმენტებით, როგორიც არის XXII ყრილობის მასალები და სკკპ პროგრამა, ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

ახლა თვითეულ საბჭოთა მხატვარს შეუძლია, უფრო მეტი სიღრმით შეიცნოს ლიტერატურისა და ხელოვნების დიადი დანიშნულება, თავისი ადგილი ხალხის ბრძოლაში კომუნიზმისათვის. ახლა, როცა შევედით კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ეპოქაში, განუზომლად გაიზარდა მხატვრული ინტელიგენციის პასუხისმგებლობა საბჭოთა საზოგადოების იდეოლოგიური, სულიერი ცხოვრების განვითარებისათვის.

არ შეიძლება არ ვფიქრობდეთ ჩვენი იდეური პოზიციების სიწმინდესა და სიმტკიცეზე, მთავარ მიმართულებაზე, მთავარ ხაზზე საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში.

I.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებმა ამას წინათ დაათვალიერეს მოსკოველ მხატვართა გამოფენა, ისინი გაეცნენ აგრეთვე აბსტრაქციონისტი მხატვრებისა და მოქანდაკეთა ე. ნეიზვესტნის ნაწარმოებებს. იქვე, გამოფენაზე, ეს ნაწარმოებები, აგრეთვე ზოგიერთი სხვა მხატვრის ფორმალისტური ნაშედევები მკაცრად, მაგრამ სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული. ყოველგვარ საღ აზრს მოკლებული აბსტრაქციონისტური ნათხუნები ტილოზე სხვა არაფერია, თუ არა პათოლოგიური უცნაურობა, ბურჟუაზიული დასავლეთის გახრწნილი ფორმალისტური ხელოვნების უბადრუკი მიბაძვა.

„ასეთი „შემოქმედება", — თქვა გამოფენაზე ნ. ს. ხრუშჩოვმა, — უცხოა ჩვენი ხალხისათვის, ხალხი უარყოფს მას. აი სწორედ ამას უნდა დაუფიქრდნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს მხატვრებს უწოდებენ, თვითონ კი ისეთ „სურათებს" ქმნიან, რომ ვერ მიხვდები — ისინი კაცის ხელით არის ნახატი თუ ვირის კუდით ნათხუნი. მათ უნდა შეეგონონ თავიანთი შეცდომები და ხალხისათვის იმუშაონ".

ამრიგად, ნ. ს. ხრუშჩოვმა და სხვა ამხანაგებმა გამოთქვეს უარყოფითი დამოკიდებულება ფორმალიზმისა და აბსტრაქციონიზისადმი, საქმიანად და ძალიან დამაჯერებლად გააკრიტიკეს ფორმალისტური ხელოვნება, უწინარეს ყოვლისა იმისათვის, რომ იგი მოწყვეტილია ხალხის ცხოვრებას, განზრახ დამახინჯებულად ხატავს სინამდვილეს. პარტიულობისა და ხალხურობის ლენინური პრინციპები ედო და კვლავაც ედება საფუძვლად ჩვენი პარტიის პოლიტიკას სოციალისტური კულტურის განვითარების დარგში.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრა მოსკოველ მხატვრებთან მხატვართა კავშირის მოსკოვის განყოფილების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე, რა თქმა უნდა, შემთხვევთ როდი მომხდარა.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის სახელზე უკანასკნელ ხანს მოდიოდა წერილები, რომელთა ავტორები — მხატვრული ინტელიგენციის სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლები — აყენებენ ჩვენი ხელოვნების განვითარების მწვავე, თითქმის ყველაზე ძირეულ საკითხებს.

რა არის, მოკლედ რომ ვთქვათ, ამ წერილების აზრი? მათი ავტორები მტკიცე გამოთქმებით პროტესტს აცხადებენ იმ ფაქტების წინააღმდეგ, რომ ითელება რეალისტური ტრადიციები, რომლებიც რუსული კლასიკური და საბჭოთა ხელოვნების დიდებას შეადგენენ. ზოგიერთი მხატვარი, მაგალითად, სულ უფრო ცხადად იჩენს მიდრეკილებას აბსტრაქტული ფერწერისადმი, რაც შეშფოთებას იწვევს. აბსტრაქციონისტები აქტიურ მოქმედებაზე გადავიდნენ — მართავენ თავიანთ „ნაწარმოებთა" გამოფენებს, თავმომაბეზრებლად უწევენ მათ რეკლამას ქვეყნის შიგნით და გარეთ, თავიანთ თავს ასაღებენ ჭეშმარიტი ხელოვნების ერთადერთ წარმომადგენლებად, ხოლო ყველას, ვინც სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე დგას, აბუჩად იგდებენ როგორც „კონსერვატორებს".

ზოგი ვიწმე საეჭვოდ ხდის იმ მოთხოვნასაც კი, რომ ხელოვნება გასაგები და მისაწვდომი იყოს. ისეთი ხმებიც კი გაისმის, რომ ჭეშმარიტად ნოვატორული ხელოვნება მუდამ გაუგებარია, რადგან მასებს თითქოს არ ძალუძთ აღიქვან ხელოვნების თანამედროვე ენა, და რომ მასებისათვის მომუშავე მხატვრების გვერდით შეიძლება იყონ და კიდევაც უნდა იყონ ცოტათათვის, რჩეულთათვის მომუშავე მხატვრები.

მხატვართა დიდმა ჯგუფმა ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი პლენუმის პრეზიდიუმს მიმართა წერილით. ისინი სწერდნენ:

„ამჟამად ფორმალისტები საეჭვოდ ხდიან, როგორც მოძველებულს, ვ. ი. ლენინის აზრებსა და პარტიის გადაწყვეტილებებს რეალისტური ხელოვნების შესახებ. თავიანთ გამოსვლებსა და პროკლამაციულ საქმიანობას ფორმალისტები წარმართავენ პარტიის გადაწყვეტილებებით დაგმობილი ფორმალისტური ტენდენციების აღორძინებისაკენ.

ჩვენ მივმართავთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ვთხოვთ გვითხრას, რა მოძველდა ამ გადაწყვეტილებებში. თუ ისინი არ მოძველებულა, ამ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ გამოსვლები პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით საჭიროა განხილულ იქნას როგორც რევიზიონისტული, რომლებიც ხელს უწყობენ ნეოლიბერალური საქმისადმი სამსახურის ნიადაგზე.

ასეთი საუბარი მომწიფებულად მიიჩნიეს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმაც, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმაც. წამოიჭრა საკმაოდ ბევრი მწვავე იდეოლოგიური საკითხი, რომლებშიც საჭიროა ერთად გავერკვეთ, ცხადყოთ თვალსაზრისები, დავაზუსტოთ პოზიციები, რათა კიდევ უფრო წარმატებით ვიაროთ წინ.

ჩვენი მხატვრული ინტელიგენციის იდეური არსენალი უკანასკნელ ხანს შეივსო შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ისეთი შესანიშნავი დოკუმენტებით, როგორიც არის XXII ყრილობის მასალები და სკკპ პროგრამა, ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

ახლა თვითეულ საბჭოთა მხატვარს შეუძლია, უფრო მეტი სიღრმით შეიცნოს ლიტერატურისა და ხელოვნების დიადი დანიშნულება, თავისი ადგილი ხალხის ბრძოლაში კომუნიზმისათვის. ახლა, როცა შევედით კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ეპოქაში, განუზომლად გაიზარდა მხატვრული ინტელიგენციის პასუხისმგებლობა საბჭოთა საზოგადოების იდეოლოგიური, სულიერი ცხოვრების განვითარებისათვის.

არ შეიძლება არ ვფიქრობდეთ ჩვენი იდეური პოზიციების სიწმინდესა და სიმტკიცეზე, მთავარ მიმართულებაზე, მთავარ ხაზზე საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებმა ამას წინათ დაათვალიერეს მოსკოველ მხატვართა გამოფენა, ისინი გაეცნენ აგრეთვე აბსტრაქციონისტი მხატვრებისა და მოქანდაკეთა ე. ნეიზვესტნის ნაწარმოებებს. იქვე, გამოფენაზე, ეს ნაწარმოებები, აგრეთვე ზოგიერთი სხვა მხატვრის ფორმალისტური ნაშედევები მკაცრად, მაგრამ სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული. ყოველგვარ საღ აზრს მოკლებული აბსტრაქციონისტური ნათხუნები ტილოზე სხვა არაფერია, თუ არა პათოლოგიური უცნაურობა, ბურჟუაზიული დასავლეთის გახრწნილი ფორმალისტური ხელოვნების უბადრუკი მიბაძვა.

„ასეთი „შემოქმედება", — თქვა გამოფენაზე ნ. ს. ხრუშჩოვმა, — უცხოა ჩვენი ხალხისათვის, ხალხი უარყოფს მას. აი სწორედ ამას უნდა დაუფიქრდნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს მხატვრებს უწოდებენ, თვითონ კი ისეთ „სურათებს" ქმნიან, რომ ვერ მიხვდები — ისინი კაცის ხელით არის ნახატი თუ ვირის კუდით ნათხუნი. მათ უნდა შეეგონონ თავიანთი შეცდომები და ხალხისათვის იმუშაონ".

ამრიგად, ნ. ს. ხრუშჩოვმა და სხვა ამხანაგებმა გამოთქვეს უარყოფითი დამოკიდებულება ფორმალიზმისა და აბსტრაქციონიზისადმი, საქმიანად და ძალიან დამაჯერებლად გააკრიტიკეს ფორმალისტური ხელოვნება, უწინარეს ყოვლისა იმისათვის, რომ იგი მოწყვეტილია ხალხის ცხოვრებას, განზრახ დამახინჯებულად ხატავს სინამდვილეს. პარტიულობისა და ხალხურობის ლენინური პრინციპები ედო და კვლავაც ედება საფუძვლად ჩვენი პარტიის პოლიტიკას სოციალისტური კულტურის განვითარების დარგში.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრა მოსკოველ მხატვრებთან მხატვართა კავშირის მოსკოვის განყოფილების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე, რა თქმა უნდა, შემთხვევთ როდი მომხდარა.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის სახელზე უკანასკნელ ხანს მოდიოდა წერილები, რომელთა ავტორები — მხატვრული ინტელიგენციის სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლები — აყენებენ ჩვენი ხელოვნების განვითარების მწვავე, თითქმის ყველაზე ძირეულ საკითხებს.

ასეთი „თეორეტიკოსების" სტატიებს რომ კითხულობ, რწმუნდები, რომ ხელოვნებაში მრავალფეროვნებისათვის ბრძოლის სახით ცდილობენ დაამკვიდრონ ფორმალისტური ერთფეროვნება, მოჩვენებითი დიპლომის ძიებაში — თავს მოგვახვიონ ნამდვილი დიქტატი, ცხოვრებას მოწყვეტილ ადამიანთა სუბიექტური გემოვნების დიქტატი, ყოველი ნორმალური, ჯანსაღი ადამიანისათვის უცხო გემოვნების დიქტატი.

აი რის გულისათვის აცხადებენ „მხატვრული თვალსახელის" უკანასკნელ სიტყვად ეუკეიან ნათხუნსაც კი.

ჩვენ გვაკვს ცალკეული ხელოვნებათმცოდნენი, რომლებიც მზად არიან ამტკიცონ, რომ ჩვენი ხელოვნების თითქოს მთავარი უბედურება, არასაკმაო გავრცელება აბსტრაქციონიზმისა, რომელსაც ძალუძს, მათი აზრით, რაღაც ახალი ხელოცხლე შთაბეროს სოციალისტურ ხელოვნებას. აქ მდგომარეობის მთელი კომიზმი სწორედ ის არის, რომ დასავლეთშიც კი აბსტრაქციონიზმით გატაცებას უკვე ბოლო ეღება, აბსტრაქციონისტთა გამოფენები ჩაფლავდება ხოლმე, მათს სურათებს დასცინიან. ახიც არის, ადამიანებს თანდათანობით ეხილებათ თვალი.

ზოგიერთ მხატვარს ეწყინა, საბჭოთა საზოგადოებრივობამ სამართლიანად რომ გააკრიტიკა აბსტრაქციონიზმი და ფორმალიზმი.

კაცმა რომ თქვას, რა არის საწყენი? აბსტრაქციონისტული და მოდერნისტული „ნოვაციები" ხომ ის მიმდინარეობაა, რომელიც არასოდეს არ ყოფილა ჯანსაღი ხელოვნების დროშა, ეს არის ჩამოშორება საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების ძირითადი ხაზიდან, ეს არის უარის თქმა ხალხის ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მხატვრული შემოქმედების კავშირზე.

თავისი ხალხის რა უგულებელყოფამდე უნდა მივიდეს ადამიანი, რომ განაცხადოს, ხალხი ჯერ „არ გაზრდილა" იქამდე, რომ აბსტრაქციონისტთა ზეშთაგონებანი ესმოდესო!

მაინც სადამდე უნდა გაიზარდოს? ჯანსაღი აზრისა და ნორმალური ადამიანური გემოვნების დაკარგვამდე? როგორ შეიძლება მისვლა ჩვენი ხელოვნების შესანიშნავ სოციალისტურ ტრადიციებზე უარისთქმამდე, რომლებიც ბრძოლაში დამკვიდრებული და ცხოვრებით შემოწმებულია? რატომ ითვლება მოწინავე ნოვატორულ პოზიციად ქედის მოხრა ბურჟუაზიული ხელოვნების წინაშე, რომელიც, ვ. ი. ლენინის სიტყვით, ცდილობს „ჩაკლას" ადამიანი, მოადუნოს მისი ნებისყოფა და ენერგია ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში?

ყველაფერი ბოლომდე უნდა ითქვას. ჩვენს, ასე ვთქვათ, შინაგანზრდ აბსტრაქციონისტებსა და ბურჟუაზიული მოდების თაყვანისმცემლებს აშკარა წინააღმდეგობა გამოუდით პარტიის პროგრამასთან, რომელიც მთელმა საბჭოთა ხალხმა მოიწონა.

ჩვენში ზოგჯერ ცდილობენ არა მარტო ა. ვ. ლუნაჩარსკი, არამედ ვ. ი. ლენინიც კი წარმოგვიდგინონ აბსტრაქციონისტული „ნოვატორობის" თითქმის მომხრედ. ასეთი შეხედულება უმართებულოა ა. ვ. ლუნაჩარსკის მიმართ, ვ. ი. ლენინის მიმართ კი ეს პირდაპირ მკრეხელობაა.

გაიხსენეთ, კ. ცეტკინთან საუბარში რა მომაკვდინებელი სარკაზმით ლაპარაკობდა ვ. ი. ლენინი აბსტრაქციონისტთა ნოვატორობის პრეტენზიებზე:

„დიახ, ძვირფასო კლარა, რას იზამ, ჩვენ ორივენი მოხუცები ვართ. ჩვენთვის ისიც კმარა, რომ რევოლუციაში მაინც ახალგაზრდებად ვრჩებით და პირველ რიგებში ვიმყოფებით. ახალ ხელოვნებას ჩვენ ვერ დავეწევით, კოჭლობთ გავუვებით უკან".

ვინ არ იგრძნობს აქ ლენინის სიტყვების გესლიან ირონიას! არა ვ. ი. ლენინი და პარტია, არამედ მოდერნისტული ჟურის ვაინოვატორები ყოველთვის კუდში მისჩაჩალებდნენ და მისჩაჩალებენ მასების რევოლუციურ — გარდამქმნელ საქმიანობას და, მაშასადამე, ჭეშმარიტად რევოლუციურ ხელოვნებასაც. ა. ვ. ლუნაჩარსკი, როგორც ცნობილია, ყველა ჟურის მოდერნისტებს ხატოვნად უწოდებდა ბიბუტეებს, რომლებიც დრიანცელით მირბიან პირველი ოცეულის წინ და მასხრულად ლამობენ გამოაჯავრონ ნამდვილ ჯარისკაცებს.

II.

ფორმალისტური ტენდენციების გავრცელება, სამწუხაროდ, დაიწყო არა მარტო სახვითს ხელოვნებაში, არამედ მუსიკაშიც, ლიტერატურაშიც, კინემატოგრაფიაშიც.

მაგალითად, მუსიკაში საერთო წინსვლასთან ერთად ვხედავთ გატაცებას სხვადასხვა უცხოური, და არა მარტო უცხოური, ჯაზების ველური ღმუილით. ლაპარაკია არა ჯაზურ მუსიკაზე საერთოდ, არამედ ბგერათა კაკოფონიაზე, რომელსაც ზოგჯერ თავს ატეხენ მსმენელებს და რომელსაც მხოლოდ გაუგებრობით ეწოდება მუსიკა.

კინემატოგრაფიაშიც, სადაც შესამჩნევია საერთო შემოქმედებითი აღმავლობა, გამოწვეული კეთილშეყოფელი გარდაქმნებით ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, გამოჩნდება ხოლმე იდეურად მოუმწიფებელი ნაწარმოებები, ფილმები, რომელებსაც ახასიათებს განზრახი დაზღანგულობა, ფორმის გართულებულობა და რომლებსაც ამიტომ მაყურებელი უარყოფს.

ზოგჯერ ქვეყნდება ლექსები და პროზაული ნაწარმოებები, რომლებსაც ფორმის ორიგინალობისადმი გამოდევნების გამო, იმის გამო, რომ სხვებს აკრიტიკებენ, არა მარტო აცლიან სიცოცხლის დამამკვიდრებელ შინაარსს, არამედ ზოგჯერ უკარგავენ ყოველ აზრს, ამახინჯებენ და ანაგვიანებენ რუსულ ენას.

ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგიერთი მოღვაწე პირდაპირ შეპყრობილია ეჭვით ჩხირკედელობდეს უკანა ეზოში და არა სურს ხედავდეს, თუ რა ხდება ჩვენი განვითარების გენერალურ მაგისტრალებზე.

ცნობილია, რომ სპეციალური დანიშნულების უცხოელი „ტურისტები", ბურჟუაზიული გაზეთების ზოგიერთი კორესპონდენტი ნადირობენ ჩვენს ქვეყანაში ადამიანებზე, რომლებიც რაიმეთი უკმაყოფილო არიან და უნარი აქვთ ხელში ფანქარი ეჭიროთ. ისინი ცდილობენ ასეთი მთხზველებისაგან შეიძინონ ყოველგვარი პასკვილები, რომლებიც ჩირქს სცხებენ ჩვენს ცხოვრებას.

ამ ცოტა ხნის წინათ ნიუ-იორკში გამოიცა და ფართოდ იქნა რეკლამირებული ვინმე ალექსანდრე ესენინ-ვოლპინის წიგნი „გაზაფხულის ფოთოლი". ამ წიგნში მოთავსებულია პრეტენციოზული და უმეცარული „ფილოსოფიური ტრაქტატი", აგრეთვე ანტისაბჭოთა კაცმომძულებლობით ლექსები, თითქმის სულით ავადმყოფის ნაბოდვარი.

„ფილოსოფიურ ტრაქტატში" მოცემულია ავტორის „კრედო": „ანარქია ჩემი პოლიტიკური იდეალია". მის ლექსში ეს იდეალი ასე გამოიყურება:

„მე არ ვიცი, რისთვის ვცხოვრობ
და რა მინდა მხეცებისაგან,
რომლებიც სახლობენ ბოროტ
მოსკოვში!"

ალ. ესენინ-ვოლპინი ზიზღით წერს ჩვენს ახალგაზრდობაზე, მოუწოდებს მას ყველაზე ბნელი საქმეების ჩასადენად. ასაზრდოებს რა თავის აზრებს „ნაღვლის ბუშტის წვენით" და სძულს რა ქვეყნად ყველაფერი, იგი იმთავაც კი, ვინც მას გაჰყვება, კარგს არაფერს ჰპირდება: „დახოცეთ ყველანი" — აი მისი მოწოდება.

„ამ ბიჭებს შეუძლიათ შეიგნონ,
რომ სასაცილოა სიყვარული ან
რწმენა,
რომ მათი ტირანები არიან დედა
და მამა,
და დიდი ხანია ისინი დასახოცები
არიან!

ამ ბიჭების ბოლოა მარყუჟი,
მე კი არავინ არ დამდებს მსჯავრს, —
და ამ ლექსს წაიკითხავენ
გიჟები ასი წლის შემდეგ!"

რა არის ეს, როგორ შეიძლება ნორმალურმა ადამიანმა დაწეროს, ხოლო ვიღაცამ გამოსცეს ასეთი ლექსები? მაგრამ სწორედ ამ ღვარძლიან ნაკლებს, რომელიც ყოველი ჯანსაღი ადამიანის ზიზღს იწვევს, ჩვენი მტრები ხოტბას ასხამენ. დიახაც! იგი ხომ გამსჭვალულია მხეცური სიძულვილით საბჭოთა საზოგადოებისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. საზღვარგარეთ ალ. ესენინ-ვოლპინის წიგნს „მოჯანეყე" საბჭოთა ახალგაზრდობის ახალი თაობის „მანიფესტად" ასაღებენ.

რა თქმა უნდა, სისულელეა, ეს გარეწარი არავისი წარმომადგენელი არ არის. ეს მხოლოდ და მხოლოდ ძირმომპალი შხამიანი სოკოა.

მაგრამ მისი ყოველმხრივ უბადრუკი ნაჯღაბნის გარშემო ატეხილი ფუსფუსი ფრიად დამახასიათებელი და სიმპტომატური. იგი გვიჩვენებს, რომ ჩვენდამი მტრული პროპაგანდა ყველა საშუალებას მიმართავს, ცდილობს დათესოს სკეპტიციზმის შხამი, თაგზა აუბნიოს გაუწაფავ ადამიანებს, გააჩაღოს არაჯანსაღი მოვლენები და ტენდენციები ჩვენს ხელოვნებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობის შემოქმედებაში, ერთმანეთს წაჰკიდოს თაობები, დაუპირისპიროს ერთმანეთს „მამები და შვილები". ჩვენი იდეური მოწინააღმდეგენი რაც ძალი და ღონე აქვთ გაჰყვიანან „ახალ ტალღაზე", „დისონანსის შემტან ხმებზე", საბჭოთა ხელოვნების „კრიზისზე".

საბჭოთა კულტურის ახალგაზრდა მოღვაწეები, რომლებიც ამაყად იღებენ უფროს თაობათა ესტაფეტას, უარყოფენ ღვარძლიან მონაბერსა და ინსინუაციებს. მაგრამ საჭიროა ფხიზელნი და შეურიგებელნი ვიყოთ ყოველგვარი არასწორი ტენდენციებისა და იდეური მერყეობისადმი, გვახსოვდეს, რომ ფორმალისტური ჯამბაზობა უწყინარი ცელქობა კი არა, ხელოვნებაში უცხო იდეოლოგიის წინაშე კაპიტულანტობაა. საჭიროა კვლავაც მაღლა გვეჭიროს სოციალისტური რეალიზმის დროშა.

მთლიანად ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება სწორი მიმართულებით ვითარდება, ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია პარტიის ერთგული თანაშემწეა სამყაროს კომუნისტურ გარდაქმნაში, მშრომელთა აღზრდაში. მაგრამ სწორედ ამიტომ შეუწყნარებელია ყოველგვარი გადახვევა ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების მთავარი ხაზიდან. მათ პროტესტით ხვდებოდა და შეხვდება ჩვენი ხალხი, რომელსაც უნარი აქვს ნამდვილი სულიერი ღირებულებანი განასხვავოს იდეური სიყალბისა და მხატვრული სუროგატებისაგან.

მაშ რატომ არის, რომ ჩვენს სახვითს (და განა მარტო სახვითს?) ხელოვნებაში ზოგმა ვინმემ დაიწყო სოციალისტური რეალიზმის პრინციპული პოზიციებიდან გადახვევა და იმ მიმდინარეობათა მიბაძვა, რომლებიც ვ. ი. ლენინმა დაახასიათა როგორც ყოვლად უხამსი მანჭვა-გრეხა?

ჩანს, ამგვარი მოვლენები შემთხვევითი არ არის. ისინი მოწმობენ, რომ ზოგიერთ ამხანაგს არასწორად ესმის ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან ბრძოლის ხასიათი, ზოგჯერ ივიწყებს ჩვენი იდეური პოზიციების შეურიგებლობასა და უკომპრომისობას.

უნდა გვახსოვდეს როგორც უცილობელი ჭეშმარიტება, რომ ხელოვნებას ყოველთვის აქვს იდეურ-პოლიტიკური მიზანდასახულობა, იგი ასე თუ ისე გამოხატავს და იცავს გარკვეული კლასებისა და ხალხთაშორისი ფენების ინტერესებს. და როდესაც ხელოვნებაში ამა თუ იმ მიმდინარეობას ვხედავთ, ბუნებრივია, პირველ კითხვად წამოიჭრება: ვის ინტერესებს ემსახურება იგი, ხაით მოუწოდებს, რა სოციალურ იდეალებს ამკვიდრებს?

თუ მივმართავთ აბსტრაქტული ხელოვნების არსს, აქ არ შეიძლება ორი აზრი იყოს: იგი ხალხის ინტერესებს არ ემსახურება, მშრომელთა განუწყობლებას არ გამოხატავს, იგი ნავარაუდევია სიცოცხლემოყირჭებულთა მახინჯი გემოვნების დასაკმაყოფილებლად.

მართლაც, შეიძლება თუ არა აბსტრაქციონიზმი, საერთოდ დეკადენტური ხელოვნება იყოს პროგრესული კლასების დროშა, მით უმეტეს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის დროშა? პასუხი აქ მხოლოდ ერთია: ცხოვრებას მოწყვეტილი ხელოვნება არ შეიძლება ემსახუროდეს ცხოვრების გარდაქმნას, მომაკვდავი კლასის სულიერი იარაღი გამარჯვებისაკენ მიმავალი კლასის ბრძოლისუნარიანობას ვერ აამაღლებს; ძველი საზოგადოების დაშლის პროდუქტებისაგან კომუნიზმის კულტურა ვერ შეიქმნება.

ზოგჯერ ამბობენ: განა შეიძლება საბჭოთა ყოფნილების ერთგული ადამიანს ვუსაყვედურებდეთ სოციალიზმის მიმართ მტრული კლასების ინტერესებისადმი სამსახურს მხოლოდ იმ საუფეველზე, რომ, ვთქვათ, მისი შემოქმედებითი მეთოდი როგორც ორი წყვილი წყალი, ისე ჰგავს ჩვენთვის უცხო ხელოვნების მეთოდებს? თვითონ მხატვარს ხომ არა სურს ზიანი მიაყენოს ჩვენს ქვეყანას, რომლისთვისაც იგი, შესაძლოა, ომში სისხლსა ღვრიდა, იგი საუკეთესო განზრახვებით ხელმძღვანელობს!

პრობლემის სირთულე სწორედ იმაშია, რომ მხატვრის სუბიექტური განზრახვები ყოველთვის იგივე როდია, რაც მისი შემოქმედების ობიექტური აზრი. მხატვრის კეთილი განზრახვები სრულებითაც არ გამორიცხავს იმას, რომ სინამდვილეში, ობიექტურად ხომ მისი ნაწარმოებები მტრული კლასების ინტერესებს ემსახურებოდეს.

გაიხსენეთ, რას სწერდა ვ. ი. ლენინი ა. მ. გორკის დიდი პროლეტარული მწერლის იდეური მერყეობის პერიოდში. „თქვენი კეთილი სურვილი, — სწერდა ვლადიმერ ილიას-ძე, — თქვენს პირად კეთილშობილებად, სუბიექტურ „უწყინარ სურვილად" რჩება. რაკი დაწერეთ, იგი მასსაში წავიდა, და მისი მნიშვნელობა თქვენი კეთილი სურვილით კი არ განისაზღვრება, არამედ საზოგადოებრივი ძალების ობიექტური თანაფარდობით".

რა კეთილი განზრახვებითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ ჩვენი ფორმალისტები ხელოვნებაში, ისინი მოვალენი არიან მტკიცედ ახსოვდეთ ლენინის ბრძნული გაფრთხილება, ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეთ, რომ კომუნიზმის იდეურ მოწინააღმდეგეებს შეუძლიათ გამოიყენონ და უკვე იყენებენ მათს შეცდომებს საბჭოთა ხალხისადმი მტრული მიზნებით.

III.

მას შემდეგ, რაც პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს სამხატვრო გამოფენა მანეეში და გამოთქვეს კრიტიკული შენიშვნები აბსტრაქციონისტებისა და ფორმალისტების მიმართ, შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთ ნაწილში დაიწყო ხმების გავრცელება, რომ „ი ისევ დაიწყო ლაშქრობა იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც ხელოვნებაში ახალ ფორმებს, ახალ გზებს ეძებენო.

ნ. ს. ხრუშჩოვის სახელზე შემოვიდა რამდენიმე წერილი, რომლებშიც გამოთქმულია ასეთი აზრი: გაკეთეთ ყველაფერი, რომ არ გამეორდეს ის, რასაც სტალინის პიროვნების კულტის პეროდში ჰქონდა ადგილი.

მოვიყვან ზოგიერთ ამონაწერს წერილიდან, რომელიც სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამოგზავნა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ჯგუფმა. ავტორები წერენ:

„ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძეო!

მოგმართავთ თქვენ როგორც იმ ადამიანს, რომელმაც ყველაზე მეტი გააკეთა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში სტალინური თვითნებობის აღმოსაფხვრელად.

ჩვენ სხვადასხვა თაობის ადამიანები ვართ, ვმუშაობთ ხელოვნების სხვადასხვა დარგში, თვითეულ ჩვენგანს თავისი გემოვნება, თავისი მხატვრული მრწამსი აქვს. თქვენდამი ამ მომართვაში ჩვენ გაგვაერთიანა საბჭოთა ხელოვნებისა და საბჭოთა კულტურის მომავლისათვის ზრუნვამ".

წერილში შემდეგ ნათქვამია:

„ჩვენ სიხარულით ვხედავდით, როგორ ახორციელებს პარტია ლენინის სულისკვეთების: თავისუფლებისა და სამართლიანობის აღდგენას. არქიტექტორებს ახარებს იმის შესაძლებლობა, რომ აშენონ თანამედროვე სახლები, მწერლებს — იმის შესაძლებლობა, რომ წერონ სიმართლით აღსავსე წიგნები; შვებით სუნთქავენ კომპოზიტორები და თეატრის მუშაკები; ჩვენი კინემატოგრაფია ახლა ქმნის სხვადასხვა მხატვრული მიმართულების ფილმებს, ისეთ სურათებს, რომლებსაც გაგებითა და აღიარებით შეხვდნენ ჩვენს ხალხშიც და საზღვარგარეთაც".

კმაყოფილება გამოთქვეს რა მოსკოველ მხატვართა გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით, რომელზეც წარმოდგენილია სხვადასხვა მიმართულების მხატვართა ნაწარმოებები, წერილის ავტორები აღნიშნავენ:

„ასეთი გამოფენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ პარტიის XX და XXII ყრილობების შემდეგ. ჩვენ შეიძლება სხვადასხვანაირ შეფასებას ვაძლევდეთ გამოფენაზე წარმოდგენილ ამა თუ იმ ნაწარმოებს. თუ ყველანი მოგმართავთ ამ წერილით, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გვინდა მთელი გულწრფელობით ვთქვათ, რომ თუ სხვადასხვა მხატვრული მიმართულების არსებობის შესაძლებლობა არ არის, ისე ხელოვნება განწირულია დასაღუპავად.

ჩვენ ახლა ვხედავთ, თუ როგორ იწყებენ გამოფენაზე თქვენი მიერ ნათქვამი სიტყვების განმარტებას მხატვრები სწორედ იმ მიმართულებისა, სტალინის დროს ერთადერთი რომ ჰყვაოდა. სხვებს კი არც მუშობამას ანებებდა და არც თვით სიცოცხლეს.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ თქვენ ეს არ გეგულოდათ და რომ თქვენ ამის წინააღმდეგი ხართ. ჩვენ მოგმართავთ თხოვნით შეაჩეროთ ახალითი ხელოვნების სფეროში მობრუნება წარსული მეთოდებისაკენ, რომლებიც ჩვენი

ვქმნიდეთ ხალხისათვის, კომუნიზმისათვის

(დასასრული)

V.

ბელ, მწვავე კრიტიკული მიმართულების ნაწარმოებებს, რომლებიც რაზმავენ და აღაფრთოვანებენ ადამიანებს ნაკლოვანებებთან საბრძოლველად, დაცემულობის, პასიკიორული, ჩირქის მოცსებით ნაწარმოებებისაგან, რომლებიც თესავენ საბჭოთა საზოგადოებისადმი ურწმენობას, ასუსტებენ ხალხის ძალებსა და ენერგიას კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი წერილების ავტორებმა კრიტიკული შენიშვნები ხელოვნებაში ყალბი და მავნე ტენდენციების გამო მიიჩნიეს მხატვრული შემოქმედებისადმი ხელმძღვანელობის წინანდელი მეთოდებისაკენ დაბრუნების საშიშროებად. რა დიდი შეცდომაა! რა საფუძველზე გააკეთეს ასეთი დასკვნები? თურმე ნუ იტყვით, გავაკრიტიკეთ ფორმალისტური სიმახინჯენი, და უკვე იძლევიან „უბედურების სიგნალს", — ძველ მეთოდებს, პიროვნების კულტის პერიოდში გაბატონებულ მეთოდებს უბრუნდებიანო.

ამ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა აქვს, და მასში უნდა გავერკვეთ.

სულიერი კულტურის სფეროში პიროვნების კულტის პერიოდში იყო მნიშვნელოვანი არაჯანსაღი დანაშრევები და დამახინჯებები. პარტიამ ამბილი და უკუაგდო ისინი, აღმოფხვრა დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლიდა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების განვითარებას, მის შემდგომ აღმავლობას. გამოასწორა და აღმოფხვრა რა წარსულის შეცდომები და დამახინჯებანი, ჩვენმა პარტიამ თავის ახალ პროგრამაში ჩაწერა, რომ მუდამ იზრუნებს სწორ მიმართულებაზე ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში, მათს მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეზე, განუბრელად განახორციელებს ლენინურ ანდერძს ხელოვნებისადმი ხელმძღვანელობის შესახებ.

ვ. ი. ლენინი დასცინოდა და უარყოფდა სოციალისტური კულტურის განვითარებაში პარტიის ჩაურევლობის პოზიციას.

ზოგიერთი ამხანაგი, ეტყობა, არასწორად, ფრიად ნებისმიერად განმარტავს პარტიის კურსს, რომელიც მიმართულია პიროვნების კულტის შედეგების გადაჭრით დაძლევისაკენ. ფართო დემოკრატიის განვითარებისაკენ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში.

დიახ, პარტია ახორციელებდა და კვლავაც აქტიურად და თანმიმდევრულად განახორციელებს ლენინურ კურსს. იგი სპობს ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებასა და წინააღმდეგობას, რომლებიც აფერხებდნენ ხალხის შემოქმედებითი ძალების გაშლას. მხოლოდ ასეთ პირობებში სრული ძალით გაიშლება საბჭოთა ადამიანების აქტივობა და ინიციატივა, მათი ნიჭი და უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის დაჩქარებულ წინსვლას კომუნიზმის მშენებლობის გზით.

განა თქმა უნდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის, და ღრმა კმაყოფილებით იქნა მიღებული პარტიის ლენინური კურსი ჩვენი კულტურის მუშაკთა წრეში.

აქაც, ისევე როგორც ყველგან, წარმოებს შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის სწრაფი ზრდა. ახალი შემოქმედებითი ძალების დაწინაურება. ხელოვნების მოღვაწენი ისწრაფვიან ღირსეულად წარმოსახონ ძნელი, გმირული, ერთადერთი სწორი ლენინური გზა, რომელიც განვლო ჩვენმა ქვეყანამ ახალი ცხოვრებისაკენ.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა თვალი დაგვეხუჭა უარყოფით მოვლენებსა და არასწორ ტენდენციებზე ხელოვნებაში.

ამხილებს რა სტალინის პიროვნების კულტს, პარტია იშორებს ყველაფერს, რაც კი მუხრუჭს წარმოადგენს ჩვენს გზაზე. მაგრამ არ შეიძლება დავუშვათ, რომ პიროვნების კულტთან ბრძოლის მომიზეზებით არყევდნენ და ასუსტებდნენ სოციალისტურ საზოგადოებას, სოციალისტურ იდეოლოგიასა და სოციალისტურ კულტურას. პიროვნების კულტის მხილება მისი შედეგების დაძლევა კი არ უნდა ასუსტებდეს, არამედ უნდა განამტკიცებდეს ჩვენს ძალებს. თუ ჩვენ პიროვნების კულტის შედეგების კრიტიკის სახით დარტყმებს მივაყენებთ ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს იდეოლოგიას, ამით კომუნიზმის დიდ ხელოვნებას კი არ შეექმნით, არამედ დავკარგავთ იმას, რაც შეგვიძენია.

საბჭოთა ხალხი იცნობს და ხედავს საბჭოთა ხელოვნების დიდ მიღწევებს, იმ კეთილმყოფელ გავლენას, რომელიც მოახდინა მასზე ჩვენი ცხოვრების ახალმა ატმოსფერომ. იგი დიდად აფასებს თავისი შემოქმედებითი ინტელიგენციის მუშაობას, ესმის მისი უდიდესი მნიშვნელობა ქვეყნის მთელ სულიერ ცხოვრებაში.

მწვავე კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა მოსკოველ მხატვრთა გამოფენის დათვალიერების დროს გამოთქვეს, საბჭოთა ხალხმა ჩვენი სოციალისტური ხელოვნებისათვის პარტიის ზრუნვის ახალ გამოვლინებად მიიჩნია და ღრმა კმაყოფილებით შეხვდა მათ.

* * *

როცა გამოქვეყნდა ნ. ს. ხრუშჩოვის შენიშვნები აბსტრაქციონისტების მისამართით, საბჭოთა საზოგადოებრიობამ ისინი მიიჩნია დიდმნიშვნელოვან ნახევად პარტიის ბრძოლაში კომუნიზმის კულტურისათვის, მხატვრული შემოქმედების განვითარებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაში ახალი ეტაპის დასაწყისად. ამბობენ, რომ ზოგიერთმა ამხანაგმა პარტიულ კრიტიკას ცნობილი ანალოგიის მიხედვით რეზუმე გაუკეთა სიტყვებით: „არის ასეთი პარტია!"

დიახ, არის ასეთი პარტია, რომელიც ხელმძღვანელობდა და უხელმძღვანელებს, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, აყალიბებდა და კვლავაც ჩამოაყალიბებს ჩვენს ქვეყანაში მხატვრული პროცესის შედეგებს. ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

ახალი ამბები, ცნობები

მტვირთავების გაფიცვა

ნიუ-იორკი, 24 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ გაფიცვა გამოაცხადა 80 ათასმა ნავსადგურის მტვირთავმა, რომლებიც ატლანტის სანაპიროსა და მექსიკის ყურის სანაპიროს ნავსადგურებს ემსახურებიან. ამერიკელმა ნავსადგურის მტვირთავებმა უკვე გამოაცხადეს გაფიცვა მიმდინარე წლის ოქტომბერში, მაგრამ მთავრობამ მუშათა საწინააღმდეგო ტაფტ-ჰარტლის კანონის საფუძველზე მიაღწია სასამართლო დადგენილებას იმის შესახებ, რომ შეეწყვიტათ გაფიცვა 80 დღით. მაგრამ ამან ვერ შეარყია მუშათა გადაწყვეტილება მიაღწიონ შრომის პირობების გაუმჯობესებას. და გუშინ, როცა გავიდა სასამართლოს დადგენილების მოქმედების ვადა, ნავსადგურის მტვირთავებმა განაახლეს ბრძოლა. ნავსადგურის მტვირთავთა პროფკავშირმა გამოაცხადა გაფიცვა მიუხედავად პრეზიდენტ კენედის პირადი მოწოდებისა დადონ 90 დღის დაზაცვა მეწარმეებთან.

საგანგებო წესების გაუქმება სირიაში

ლონდონი, 23 დეკემბერი. (საკდესი). დღეს სირიის არაბთა რესპუბლიკის ყველა ნაწილში, სამხრეთ-დასავლეთ სასაზღვრო რაიონისა და სასაზღვრო საგუშაგოების გარდა, გაუქმდა საგანგებო წესები, რაც 51 თვეს გრძელდებოდა, იუწყება რეიტერის საგაზეთოს კორესპონდენტი დამასკოდან.



ბაგანგებო ჩინეთში

☐ პეკინი, 24 დეკემბერი. (საკდესი). ლიაონის სატრაქტორო ქარხნის — ჩინეთის ტრაქტორმშენებლობის პირმშოს კოლექტივმა, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა, 18 დეკემბერს შეასრულა „დუნფანხუნის" მარკის ტრაქტორების გამოშვების წლიური გეგმა.

☐ „ფეიბეს" მარკის 280 ათასზე მეტი ველოსიპედი გამოუშვა მიმდინარე წელს ტიანძინის ველოსიპედის ქარხანამ. ეს 79 პროცენტით მეტია, ვიდრე შარშან. წლიური გეგმა ქარხანამ ვადამდე, 15 დეკემბერს შეასრულა. ამ საწარმოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის დამლევისათვის გამოუშვას კიდევ 16 ათასი მანქანა.

☐ ვანაზე ერთი თვით ადრე შეასრულა წლიური გეგმა შანხაის ველოსიპედის ქარხანამ. 11 თვეში მან გამოუშვა 155 ათასით მეტი მანქანა, ვიდრე მთელი გასული წლის განმავლობაში.

მზარდი მეგობრობა

ჰავანა, 24 დეკემბერი. (საკდესი). „მტკიცდება კუბისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა", — განაცხადა კუბის მთავრობის საგანგებო დელეგაციის მეთაურმა აგრარული რეფორმის ეროვნული ინსტიტუტის პრეზიდენტმა კარლოს რაფაელ როდრიგესმა, როცა დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან. ჩვენ დარწმუნებული ვართ, თქვა მან, რომ საბჭოთა კავშირი ღირსეულ წვლილს შეიტანს, რომ კუბის ეკონომიკა 1963 წელს განვითარდეს რიტმულად, იმ გეგმის მიხედვით, რომელიც რევოლუციურმა მთავრობამ დასახა.

შეეხო რა მოსკოვის მოლაპარაკების შედეგებს, კარლოს რაფაელ როდრიგესმა თქვა: „შედეგები მეტისმეტად დამაკმაყოფილებელია კუბისათვის".

გაზეთმა „ნოტისიას დე ოიმ", რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მოსკოვის საგანგებო მოლაპარაკების შედეგებს, მოწინავე სტატია მიუძღვნა მას. ჩვენი ხალხი კმაყოფილებით შეხვდა კომუნიკეს, რომელსაც კარლოს რაფაელ როდრიგესმა და ა. ი. მიკოიანმა მოაწერეს ხელი სავაჭრო მოლაპარაკების დროს, წერს გაზეთი, და ახლა უფრო დარწმუნებულია თავის მომავალში და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ გაადიდოს საკუთარი წარმოება. როგორც ყველანი მოველოდით, განაგრძობს გაზეთი, მოლაპარაკებამ უაღრესად დამაკმაყოფილებელი შედეგები მოიტანა. ვაჭრობა კუბასა და საბჭოთა კავშირს შორის გაფართოვდება. ეს მოლაპარაკება, ხაზს უსვამს გაზეთი, მოწმობს სსრ კავშირისა და კუბის გულწრფელ მეგობრობას, რომელსაც საფუძვლად უდევს სრული თანასწორობა, სუვერენიტეტის პატივისცემა და ეკონომიური თანამშრომლობა.

კუბა მიიღებს ანაზღაურებას

ჰავანა, 22 დეკემბერი, (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ კუბის პრემიერ-მინისტრ ფიდელ კასტროსა და ამერიკელ ადვოკატ ჯეიმსს დონოვენს შორის მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ კუბის რესპუბლიკას გადაუხადონ 63 მილიონი დოლარი, რომლის გადახდა რევოლუციურმა ტრიბუნალმა მიუსაჯა პლაია-ხირონზე თავდასხმის დროს დატყვევებულ კონტრრევოლუციონერებს. ექვსი თვის განმავლობაში კუბა მიიღებს ამ თანხის მედიკამენტებს, სამედიცინო მოწყობილობასა და კვების პროდუქტებს ბავშვებისათვის. მოელიან, რომ ამ საქონლის პირველ პარტიას დღეს შემოიტანენ კუბაში. დანარჩენ ტვირთზე, რომელსაც შემოიტანენ თვითმფრინავებით და ბუქსირებით, გაცემულია „როიალ ბენკ ოფ კანადის ბანკის საგარანტიო წერილი კუბის ეროვნული ბანკის სახელზე. კუბაში მყოფ ტყვეებს გაათავისუფლებენ ოცდაოთხ დეკემბერს.

„სკაიბოლტის" სკანდალი

ნიუ-იორკი, 22 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგანგებო ინფორმაცია, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებმა გამოაცხადეს, რომ დღეს მათ განახორციელეს რაკეტა „სკაიბოლტის" „პირველი წარმატებითი" გამოცდა. ხუთ წინა გამოცდას წარმატება არ მოჰყოლია.

საკდესის კომენტატორი ს. ივანოვი წერს:

ეს სწორედ ის „სკაიბოლტის" რაკეტაა, რომლის წარმოებაზე მხოლოდ გუშინ აიღეს ხელი კენედიმ და მაკმილანმა ბაჰამის კუნძულებზე მოლაპარაკების შემდეგ. ეს გადაწყვეტილება ერთსულოვნად მიჩნეულ იქნა როგორც ინგლისის სეროზული დამარცხება. „სკაიბოლტის" წარმოებაზე უარის თქმა იმის ნიშნავს, რომ ინგლისის ბომბდამშენები, რომლებიც უნდა ყოფილიყვნენ ამ „ჰაერი-დედამწყა" კლასის რაკეტის ბაზაზე, მალე მოძველდება და საჭირო აღარ იქნება. ამით ასობით მილიონი გირვანქა სტერლინგი წყალში დადაიყრება.

მაგრამ არა მარტო ინგლისის საავიაციო კომპანიები არიან დაინტერესებული იმით, რომ, გაგრძელდეს მუშაობა „სკაიბოლტზე". თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაელენიანი ჯგუფები უაღრესად არიან დაინტერესებული ამ რაკეტით.

„სკაიბოლტის" წარმატებით გაშვება, რაც, რა თქმა უნდა, მეტად მოულოდნელი და არა სასიამოვნოა კენედისა და მაკმილანისათვის, ეჭვი არ არის გააძლიერებს ბრძოლას ამერიკის მონოპოლიებს შორის სამხედრო დაკვეთებისათვის. ხოლო ამ ბრძოლის ანარეკლი იქნება მწვავე კამათი კონგრესში.

ინტერესით უნდა მოველოდეთ გამოხმაურებას ინგლისიდან. მაკმილანმა, რომელმაც, როგორც ნათქვამია პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ერთობლივ განცხადებაში, დაიჯერა, რაკეტის წარმატების უპირსპექტივობა, მოხვდა, გულახდილად რომ ითქვას, არასახარბიელო მდგომარეობაში. მოსალოდნელია ცხარე კამათი ინგლისის პარლამენტში. ერთი სიტყვით სკანდალი „სკაიბოლტის" გარშემო გრძელდება.

ჩვენ ვბეჭდავთ დანიელი მხატვრის ბიდსტრუპის მიერ გაზეთ „ლანდ ოგ ფოლკისათვის"-შესრულებულ უკანასკნელ კარიკატურას. კარიკატურის სათაურია: „ყურადღება! ილოცე!" შესაძლოა, ასეთი ბრძანება არც გაცემულა ამერიკულ პოლიგონზე, სადაც წარმოებდა რაკეტა „პოლარისის" გაუმჯობესებული მოდელის გამოცდა, მაგრამ, როგორც განაცხადა გამოცდების დამსწრე ერთ-ერთმა ექსპერტმა, ყველა ისინი გულში ეევედრებოდნენ ღმერთს, რაკეტა სადმე ზღვაში ჩავარდესო. საქმე ის არის, რომ გაუმჯობესებული „პოლარისი" უკვე მეექვსედ ასცდა კურსს და უბედურებას უქადდა ამერიკის ქალაქებს.

არჩევნების შედეგები დომინგოს რესპუბლიკაში

ნიუ-იორკი, 22 დეკემბერი. (საკდესი). „დომინგოს რევოლუციური პარტიის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხუან ბოში არჩეულია დომინგოს რესპუბლიკის პრეზიდენტად, იუწყება გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმს-ს" კორესპონდენტი, რომელიც ეყრდნობა კენჭისყრის არაოფიციალურ შედეგებს. ეს შედეგები გამოქვეყნებულია დომინგოს გაზეთ „კარიბეში". ხუან ბოშმა ხმის აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ო. დ. გოცირიძის საგოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენ მიერ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის გეგმის ერთსულოვანი მოწონება მოწმობს იმას, რომ გეგმაში გათვალისწინებული ღონისძიებანი უზრუნველყოფენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას და XXII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას.

გეგმით დასახული სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, კულტურის აღმავლობას, ჩვენი ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

საბიუჯეტო კომისიის მოხსენებასა და დეპუტატების გამოსელებში აღნიშნული ბევრი საყურადღებო წინადადების განხორციელება ხელს შეუწყობს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, დაგეგმვის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას და სამეურნეო მშენებლობის საკითხების უკეთ გადაწყვეტას.

დეპუტატებმა ჯიბუტმა, მელქაძემ, როდომანჩენკომ, ივეთაზაშვილმა, სამხრეთ ოსეთის აუტონომიური ოლქის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გაბაევმა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მელაძემ აღნიშნეს საკითხი, რომ საჭიროა აშენდეს საავადმყოფოები, პოლიკლინიკები და ჯანმრთელობის დაცვის ზოგიერთი სხვა ობიექტი. როგორც მოგეხსენებათ, თანხების ათვისება ამ დარგში არადამაკმაყოფილებელია. ამიტომ ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს გამოყოფილი სახსრების მთლიანად და დროულად ათვისებას. სახსრების დაქსაქსვა ახალი ობიექტების მშენებლობისათვის არ იქნება სწორი. ამიტომ ჩვენი აზრით სწორად იქცევა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, როდესაც მომავალი წლის კაპიტალური დაბანდების ძირითად ნაწილს მიმართავს გარდამავალი ობიექტების დასამთავრებლად.

ზემოთ მოყვანილი მოტივებით მიზანშეუწონელია ახალი საავადმყოფოების, პოლიკლინიკებისა და სამშობიარო სახლების მშენებლობის დაწყება. რაც შეეხება სადზინფექციო საადგურისა და სასწრაფო დახმარების, ავტომანქანების გარაჟის მშენებლობას ქალაქ თბილისში, თუმცა ეს საჭიროა, მაგრამ მათი მშენებლობა ჯერჯერობით უნდა გადაიდოს, რადგან რესპუბლიკაში საავადმყოფო საწოლთა რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში, და პირველ რიგში უურადღება უნდა მიეაქციოთ მათ მშენებლობას.

დეპუტატებმა გოგოხიამ, ძამაშვილმა, როდომანჩენკომ, ამხანაგებმა მელაძემ, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ცქვიტინიძემ აღძრეს საკითხი, რომ გავადიდოთ ასიგნებანი სკოლებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობისათვის.

მოგახსენებთ, რომ აღნიშნულ დაწესებულებათა მშენებლობისათვის სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის გეგმის პროექტით გათვალისწინებულია კაპიტალური დაბანდებანი 8 მილიონი მანეთის ოდენობით. სასკოლო მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდების კიდევ უფრო გადიდების საშუალება მინისტრთა საბჭოს აქამდე არ მოეპოვება. საჭიროა გამოყოფილი თანხების დროულად ათვისება და სასკოლო შენობების დაწესებულ ვადებში დამთავრება.

გარდა ამისა, როგორც წინა წლებში, მომავალ წელსაც ფართოდ უნდა გამოვიყენოთ კაპიტალური რემონტის სახსრები სკოლების შენობების მიშენება-დაშენებისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ მესამე ცვლის წარმოშობა.

დეპუტატებმა სწორად დასვეს საკითხი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების ასაშენებლად კაპიტალურ დაბანდებათა გადიდების შესახებ. მიუხედავად საგრძნობი ზრდისა, ამ დაწესებულებათა რაოდენობა ჯერ კიდევ მცირეა. სწორედ ამიტომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკემბრის სესიამ ჩვენი დეპუტატების თხოვნით რესპუბლიკას დამატებით გამოუყო 430 ათასი მანეთი. საგეგმო კომისიისა და განათლების სამინისტროს აზრით, საჭიროა ამ თანხებით დამატებით აიგოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებები რუსთავში, თბილისსა და ქუთაისში. გარდა ამისა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მომავალ წელს ნიბადგართული სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობა საბინაო მშენებლობის სახსრების ხარჯზე, რაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ და საჭირო შემთხვევაში გამოვიყენოთ.

დეპუტატებმა გოგოხიამ, ძამაშვილმა, მელქაძემ, როდომანჩენკომ, აიეთაზაშვილმა, ყოჩიაშვილმა, აბარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. დავითაძემ, ამხანაგებმა მელაძემ, ცქვიტინიძემ აღძრეს საკითხი საბინაო და კომუნალური მშენებლობის შესახებ.

მინდა დეპუტატებს მოვაგონო, რომ მომავალ წელს ასიგნებანი საბინაო მშენებლობაზე იზრდება 11 პროცენტით, რაც მეტად საგრძნობი მატებაა.

აგრეთვე ფართოდ უნდა გაიშალოს საბინაო-კოოპერაციული და ინდივიდუალური ბინათმშენებლობა სახელმწიფო კრედიტის დახმარებით. ქალაქებს თბილისს, ქუთაისს, სოხუმს, ბათუმს, ცხინვალს რესპუბლიკის სახსრების შესაბამისად და მათი თავისებურების გათვალისწინებით, გამოყოფილი აქვთ საბინაო მშენებლობის სათანადო მოცულობა, შემდგომი გადიდების საშუალება კი ამჟამად არ მოგვეპოვება.

გარდა ამისა, საწარმოებს და სამეურნეო ორგანიზაციებს, აღმასკომებს დადგენილი ლიმიტის ფარგლებში შეუძლიათ განახორციელონ საბინაო მშენებლობა არაცენტრალიზებული სახსრებიდან, რაც შეეხება მარაგ-ნაკეთის ოდენობას ქალაქ თბილისის საბინაო მშენებლობაზე, უნდა მოვახსენო დეპუტატებს, რომ ის შეადგენს არა 9, არამედ 33 პროცენტს, რაც საგრძნობლად აღემატება დაწესებულ ნორმატივებს.

საგეგმო კომისია მხარს უჭერს ამხ. ცქვიტინიძის წინადადებას ქუთაისში წყალსადენის მშენებლობის საკითხის სპეციალურად განხილვის შესახებ, ვინაიდან ჩვენი აზრით, ზოგიერთი ორგანიზაციის მოუქნელი მუშაობით საგრძნობლად ფერხდება ქალაქ ქუთაისის წყლით უზრუნველყოფის საკითხის გადაჭრა. აგრეთვე დამატებით იქნება განხილული საკითხი ცხინვალში წყალსადენის მშენებლობისა და საკრიორების შემოხვევაში გამოიყოფოს სათანადო სახსრები და მასალები გეგმით გათვალისწინებული სომხლავრეების ამოქმედების უზრუნველსაყოფად.

მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნია მშენებლობის მსვლელობის მიხედვით მომავალი წლის პირველ ნახევარში განიხილოს საკითხი თბილისისა და რუსთავის წყალსადენების მშენებლობის შესახებ, და განკუთვნილი თანხის კარგად ათვისების შემთხვევაში, მიიღოს ზომები დამატებით თანხებისა და მასალების გამონახვისათვის.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ [illegible] ბიუჯეტო კომისიის და დეპუტატთა მიერ აღძრულ სხვა საკითხებსაც და მიიღეს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

დასასრულ საჭიროდ მიმაჩნია სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების ყურადღება მივაპყრო იმას, რომ შემუშავებული გეგმა ყველა მისი მაჩვენებლით დაუყოვნებლივ მიწოდონ საწარმოებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მშენებლობის ობიექტებს. ეს ხელს შეუწყობს წლის დასაწყისიდანვე მათი სამეურნეო საქმიანობის გეგმაშეწონილ განვითარებას და მუშაობის უკეთ ორგანიზაციას.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის გეგმის ერთსულოვანი მოწონება მოწმობს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მტკიცედ დარაზმულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ახლა ჩვენი ამოცანაა გამოვიყენოთ მშრომელთა ის დიდი პოლიტიკური და შემოქმედებითი აღმავლობა, რომელიც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით და ის უდიდესი უპირატესობა, რომელსაც მოგვცემს ჩვენი მუშაობის გარდაქმნა ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად და მივაღწიოთ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით დასახული ყველა ამოცანის გადაჭარბებით შესრულებას.

დადგენილი გეგმის წარმატებით შესრულება, მშენებლობის ეადების მტკიცედ დაცვა, სიმძლავრეთა დროული ამოქმედება, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაზე ეკონომიური მაჩვენებლების ყოველმხრივი გაუმჯობესება განაპირობებს ახალ შესაძლებლობებს რესპუბლიკის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულდება და ამით კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგმება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის წინასწარ გზაზე.

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ბ. ა. ჩხეიძის საგოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველმხრივ განიხილეს სბიუჯეტო კომისიამ და მომდინარე სესიაზე გამოსულმა დეპუტატებმა. ბიუჯეტის განხილვამ აცხადყო, რომ იგი სავსებით შეესაბამება პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს და საჭირო ფულადი სახსრებით უზრუნველყოფს 1963 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებთა განხორციელებას.

სბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა მელქაძემ მოგახსენათ, რომ სბიუჯეტო კომისიამ შეისწავლა საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და ანალიზი გაუკეთა 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მონაცემებს, რის შესახებაც სესიას წარმოუდგინა სათანადო დასკვნები.

სბიუჯეტო კომისიამ ცალკეული სამინისტროების, უწყებების, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მონაწილეობით განიხილა 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი და გასავალი და საჭიროდ მიიჩნია ბიუჯეტის პროექტში შეიტანოს შემდეგი ცვლილებები:

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს შემოსავლისა და გასავლის გეგმის ძირითადი მაჩვენებლების განხილვასთან დაკავშირებით გადიდდეს სახალხო მეურნეობის საბჭოს ბიუჯეტში შენატანების თანხა 250 ათასი მანეთის ოდენობით.

გათვალისწინებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებული ცვლილებები:

ა) სახელმწიფო დაზღვევის ბიუჯეტში შენატანების გადიდება 24 ათასი მანეთით.

ბ) რესპუბლიკის ბიუჯეტში ბრუნვის გადასახადის ანარიცხების გადიდება 1964 ათასი მანეთით.

სულ რესპუბლიკის 1963 წლის ბიუჯეტში შემოსავალი გადიდება 2.238 ათასი მანეთით.

სბიუჯეტო კომისიამ შემოიტანა წინადადება აქედან მიღებული დამატებითი სახსრები განაწილდეს რესპუბლიკური ბიუჯეტით 228 ათასი მანეთის და ადგილობრივი ბიუჯეტებით 2.010 ათასი მანეთის ოდენობით — სულ 2.238 ათასი მანეთით.

ამ დამატებითი თანხების ცალკე ბიუჯეტებს შორის განაწილების პროექტი მოყვანილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სბიუჯეტო კომისიის დასკვნაში საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ, რომელიც დარიგებული აქვთ დეპუტატებს.

სბიუჯეტო კომისიის წინადადებით ზემოაღნიშნული დამატებითი ხარჯები უნდა განაწილდეს შემდეგი ღონისძიებებისათვის:

სახბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის — 800 ათასი მანეთი; რაიონული (ცენტრების და მუშათა დაბების) კეთილმოწყობისათვის — 362 ათასი მანეთი; ქალაქთა კეთილმოწყობის ობიექტების კაპიტალური რემონტისათვის — 108 ათასი მანეთი; სკოლების შენობათა კაპიტალური რემონტისათვის — 326 ათასი მანეთი; სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო დაწესებულებათა ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად — 349 ათასი მანეთი; სამკურნალო დაწესებულებების მოწყობილობათა შესაძენად და კაპიტალური რემონტისათვის — 230 ათასი მანეთი და დანარჩენი სოციალურ-კულტურული დაწესებულებებისა და ღონისძიებებისათვის — 63 ათასი მანეთი.

აღნიშნული ცვლილებების მიღების შემდეგ სბიუჯეტო კომისიის წინადადებით საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი და გასავალი შეიძლება დამტკიცდეს 804.447 ათასი მანეთის ოდენობით.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დამავალა მოგახსენოთ, რომ ის ეთანხმება სბიუჯეტო კომისიის ზემოაღნიშნულ წინადადებებს და მიზანშეწონილად მიიჩნია მათი მიღება.

სბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს დაქვემდებარებულმა საწარმოებმა გააუმჯობესონ ხარისხობრივი მაჩვენებლები, უზრუნველყონ თვითღირებულების შემცირება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, მოგების გეგმის გადაჭარბებით შესრულება და ბიუჯეტის წინაშე ყველა ვალდებულების დროულად და უთუოდ შესრულება. სბიუჯეტო კომისიის ეს წინადადებანი უნდა განახორციელონ სამეურნეო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების საქმეს.

კამათში გამოსულმა თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მელაძემ და დეპუტატებმა: გოგოხიამ, ძამაშვილმა, დავითაძემ, ცქვიტინიძემ, ბუაჩიძემ, მელქაძემ, ჯიბუტმა, ჭახრაკიამ, გაზაევმა, როდომანჩენკომ, ლომქარაშვილმა, ფეოდოსეევმა, შემოიტანეს წინადადებები დამატებით ასიგნებათა გათვალისწინების შესახებ სახბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის, ქალაქებისა და დაბების კეთილმოწყობისათვის, სოციალურ-კულტურული დაწესებულებების ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად და კაპიტალური რემონტისათვის — 230 ათასი მანეთი და დანარჩენი სოციალურ-კულტურული დაწესებულებებისა და ღონისძიებებისათვის — 63 ათასი მანეთი. როგორც მოგახსენეთ, სბიუჯეტო კომისიის წინადადებით მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოიყოფა სოლების შენობათა კაპიტალური რემონტისათვის სახსრები, რაც 326 ათასი მანეთის შეადგენს; დამატებითი სახსრები გამოიყოფა ავრეთვე ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად — 194 ათასი მანეთის ოდენობით.

დეპუტატმა ძამაშვილმა აღძრა საკითხი, რომ ქალაქ რუსთავში საუწყებო-საბინაო ფონდი გადაეცეს

მაყურებელი აფასებს

„კომუნისტის“ ინტერვიუ

საბჭოთა კავშირში და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სახელგანთქმულმა საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის დამსახურებულმა ანსამბლმა, რომელსაც ნაყოფიერ შემოქმედებით ხელმძღვანელობას უწევენ სახელმწიფო პრემიის ლაურეატები, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნინო რამიშვილი და სსრ კავშირის სახალხო არტისტი ილიკო სუხიშვილი გარგ თავისებურ ტრადიციად დაამკვიდრა საანგარიშო კონცერტების გამართვა უცხო ქვეყნებში საგასტროლო მოგზაურობათა შემდეგ.

დიდი ხანი არ არის, რაც ანსამბლი სამშობლოში დაბრუნდა. ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან ის დიდი წარმატებები, ის მართლაც ტრიუმფი, რითაც აღინიშნა ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლის საგასტროლო გამოსვლები ევროპის ოთხ ქვეყანაში — ავსტრიაში, შვეიცარიაში, ბელგიასა და ჰოლანდიაში.

ყველგან, სადაც კი ამსამბლმა თავისი ხელოვნება უჩვენა, მან დიდი საყოველთაო-სახალხო სიყვარული, აღიარება და ფართო პოპულარობა მოიპოვა. ამაზე ნათლად მეტყველებენ უცხოური პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული რეცენზიები და ხელოვნების ცნობილ ოსტატთა გამოხმაურებანი.

ამ დღეებში თბილისში ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის დამსახურებულმა ანსამბლმა სამი საანგარიშო კონცერტი გამართა. კონცერტის წინ მაყურებელთა წინაშე თავისებური „საანგარიშო მოხსენებით“ გამოვიდა ანსამბლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სსრკ სახალხო არტისტი ილიკო სუხიშვილი და დამსწრეთ საინტერესოდ მოუთხრო ახლახან დამთავრებულ გასტროლებზე, იმ სიყვარულზე და გულთბილობაზე, რითაც ქართველ მსახიობებს საზღვარგარეთ ხვდებოდნენ.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი კონცერტების შემდეგ ესაუბრა რიგით მაყურებლებს მათს შთაბეჭდილებებზე და სთხოვა გაეზიარებინათ თავიანთი აზრი ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის.

გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს:

მუკუზნის მეგვანახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკები მ. ბერიაშვილი, ვ. როსტომშვილი, თ. სვიმონიშვილი:

მ. ბერიაშვილი — ძალიან მიყვარს ქართული ხალხური ცეკვები და სიმღერები. ეს კონცერტი დიდხანს დამამახსოვრდება. ასეთი მშვენიერი წარმოდგენა კარგა ხანია არ მინახავს. განსაკუთრებით იმან გამახარა, რომ ასე დიდებულად უვლიან ჩვენს ეროვნულ საუნჯეს — ხალხურ ცეკვებს. დიდი მადლობისა და სიყვარულის ღირსნი არიან ნინო რამიშვილმ და ილიკო სუხიშვილი, ასეთი სახელოვანი ანსამბლი რომ ჰყავთ და ჩვენ ხალხს საზღვარგარეთ სახელს უხვევენ. ამ სიყვარულითა და პატივისცემით დიახაც დამსახურებულად სარგებლობენ ჩვენი სახიერ-ქალ ხელოვანნი.

ვ. როსტომშვილი — გაზეთებში ხშირად ვკითხულობ ჩვენი ანსამბლის დიდ გამარჯვებებზე უცხოეთის ქვეყნებში. ახლა, როცა ამ კონცერტს დავესწარი, სრულებით არ მაკვირვებს ეს ცნობები, პირიქით, სავსებით ბუნებრივად მიმაჩნია. ვის არ მოხიბლავს და არ აღაფრთოვანებს ეს ღრმადშინაარსიანი, ცეცხლოვანი და მშვენიერი ცეკვები.

თ. სვიმონიშვილი — არც კი ვიცი, რა უნდა გითხრათ, როგორ გამოვხატო ჩემი სიხარული. მე, ცხადია, ხელოვნებას ისე კარგად არ ვიცნობ, რომ ასეთ ანსამბლზე რაიმე საინტერესო აზრი გითხრათ. როცა მე ვამბობ **ძალიან მოიწონს**, ეს ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს, ამიტომ მინდა გავიმეორო — მომეწონა, ძალიან მომეწონა.

ბ. კუზმეკი — ინჟინერ-ტექნოლოგი, თბილისის ფეხსაცმლის ცენტრალური ლაბორატორიის თანამშრომელი: უპირველესად ის უნდა გითხრათ, რომ კონცერტზე უბრალო ცნობისმოყვარეობამ როდი მიმიყვანა. მე ვიცნობ ქართველ ხალხს, მის ჩვეულებებს, ხასიათს, მის კეთილშობილებასა და სტუმართმოყვარეობას. ნამდვილ კარგად ვიცნობდე ავრეთვე მის კულტურას, ხელოვნებას, მდიდარ კულტურულ წარსულს. მინდა გულწრფელად გითხრათ, რომ დიდი სიხარული, სიამოვნება და სიტკბობა მომანიჭა კონცერტმა. გთხოვთ, თუ შესაძლებელია, ჩემი გულითადი მადლობა გადასცეთ ანსამბლის ხელმძღვანელებს, მის ყველა მსახიობს იმ სიტკბობისათვის, რაც თავიანთი ხელოვნებით განმაცდევინეს.

ა. ძამაშვილი — რუსთაველი მეფოლადე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი: ჩვენ, ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქის რუსთავის მკვიდრთ, ძალიან გვიყვარს სიახლე, ძიება, შრომა. ამასთანავე გვიყვარს და ვაფასებთ ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვან კულტურას და ხელოვნებას, ხალხურ შემოქმედებას. ჩვენი საყვარელი ანსამბლის კონცერტები ნამდვილი ზეიმია მაყურებლისათვის. მე მგონია, ყველას, ვისაც სურს იცნობდეს ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას, იგრძნოს ჩვენი ხალხის სულის ბუნება, აუცილებლად უნდა დაესწროს ამ დიდი ანსამბლის კონცერტებს. სასიხარულოა, რომ მისი პროგრამა ივსება ახალი ცეკვებით.

* * *

სურათზე: ცეკვა „ხანჯლური“.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საახალწლო ნოგათი

□ ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). მაღალმთიანი სოფელია ვახანი. იგი საკმაოდ დაშორებულია რაიონულ ცენტრს. აქ ამ დღეებში დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სკოლის ახალი სასახლისეული კაპიტალური შენობა. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიები, სასპორტო დარბაზი და სხვ.

მასწავლებლებისა და მოსწავლეების თაოსნობით შემოიღინა სკოლის ეზო, დაირგო მცენარეები, მოეწყო შადრევანი და სხვ.

ვახანელმა მოსწავლეებმა კარგი საჩუქარი მიიღეს.

□ ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქ იყო პურის ქარხანა, მაგრამ მისი მოწყობილობა მოძველდა და ველარ აკმაყოფილებდა მზრდელთა მოთხოვნილებებს.

ამ დღეებში დამთავრდა პურის ახალი მექანიზებული ქარხნის მშენებლობა. იგი მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით და აქ ყოველდღიურად რამდენიმე ათეული ტონა პური ცხვება.

გმირი გოიას დედა რუსთავში

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის თხოვნით რუსთავში სტუმრად ჩამოვიდა სამამულო ომის გმირების ზოია და ალექსანდრე კოსმოდემიანსკების დედა, მშვიდობის მსოფლიო კონგრესის წევრი ლიუბოვ ტიმოთეს ასული კოსმოდემიანსკაია.

ლიუბოვ კოსმოდემიანსკაიას ჩამრსვლის მიზანი იყო შეხვედროდა კუბელ ახალგაზრდებს, რომლებიც აქ, რუსთავში, ეუფლებიან სოფლის მეურნეობის სპეციალობებს. შეხვედრა გაიმართა № 3 სახელოსნო სასწავლებელში. ტრიბუნაზეა გმირი ქალიშვილის დედა. იგი იგონებს თავისი შვილების სამრძოლო ეპიზოდებს, ლაპარაკობს საბჭოთა ადამიანების ხასიათზე, პატრიოტიზმზე და მიმართავს კუბელებს.

— თქვენი სამშობლო კუბა ამჟამად იბრძვის რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისათვის. ამერიკელი იმპერიალისტები ვერ ურიგდებიან ამ ფაქტს და მზად არიან ცეცხლი დაუშინონ თავისუფლებისათვის მებრძოლ კუბელ ხალხს, მაგრამ მშვიდობის სადარაჯოზე მტკიცედ დგას საბჭოთა კავშირი.

გამორიცხული არ არის, რომ ამერიკელი იმპერიალისტები კვლავ შეეცდებიან დაიმონონ კუბა. ამიტომ მინდა მოგიწოდოთ თქვენ, კუბელებს, იბრძოლოთ ისე, როგორც იბრძოდნენ გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ჩემი შვილები ზოია და ალექსანდრე.

კუბელი ახალგაზრდების სახელით სიტყვას ამბობს ლეონ სანტოს ესტებანი.

რუსთაველი მოსწავლეებისა და პიონერების სახელით სტუმარს მიესალმნენ მე-14 სკოლის ზ. კოსმოდემიანსკაიას სახელობის რაზმეულის საბჭოს პიონერები.

იმავე დღეს საპატიო სტუმარს ლ. ტკოსმოდემიანსკაიას მეტალურგთა კულტურის სასახლეში შეხვედრა მოეწყეს ახალგაზრდებმა. შეხვედრის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. (საკ. კორ.)

„მოსკვიჩი“ — ლატვიის გილეთით

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). სოფელ აცაანის კოლმეურნეობის აბრეშუმეულოვნების ბ. ცანავამ ამ დღეებში ლანჩხუთის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა აქციე შეძენილი 1962 წლის მეოთხე ნამოქმედების ფულისა და ნივთების ლატვიის გილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

ლამაზი სულის ადამიანები

ეს მოხდა 1962 წლის 25 ივნისს. ეფრეიტორი რ. ჯალალონია და რიგითი ს. ნიკაბაძე ზღვის ნაპირზე გამორიყულ ფიცრებს მანქანაზე ტვირთავდნენ, მანქანის მძღოლი ეფრეიტორი ვ. არაბული ზღვას ნაპირ-ნაპირ გაჰყვა. უკაცრიელ ნაპირზე ბავშვის კაბა და ფეხსაცმელი შეამჩნია. მიმოიხედა, ნაპირზე არავინ იყო, ზღვის ტალღამ მის შორიახლოს ბავშვი გამოიტანა და უკანვე შეათრია.

ვ. არაბული ტანგაუხდელად ზღვაში გადაეშვა და ათი წლის ტანია სავჩენკო ნაპირზე გამოიყვანა. რამდენიმე წუთის შემდეგ ბავშვი გონს მოვიდა.

მეორე დღეს ნაწილის უფროსმა ქართველ მეომრებს მადლობა გამოუცხადა.

ზ. მალრაძე.

სილნალი. (საკ. კორ.). კვირაობით ბოდბისხევში დიდი ბაზრობა იმართება. კოლმეურნეებს გასაყიდად დიდძალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მოაქვთ.

სილნალში მცხოვრები ბ. ყაზაროვი ბოდბისხევის ბაზრიდან უკან ბრუნდებოდა. ქალაქის შესასვლელთან ხელჩანთა შენიშნა. მანქანა გააჩერა და ჩანთა შეამოწმა. მასში 1.200 მანეთი ფული, ძვირფასი ნივთები და სალაროს გასაღები აღმოჩნდა. ყაზაროვმა ეს ამბავი სილნალის რაიონის მილიციის განყოფილებას აცნობა. ფული და ნივთები პატრონს დაუბრუნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო ვაჭრობა თბილისის „ბავშვთა სამყაროში“.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

წინასაახალწლო დღეებში

სიხარულის კონა

ტრადიციაა ბავშვებისათვის საახალწლო ნაძვისხის ზეიმი. და აი წელსაც კოხტად მორთულ ნაძვისხეებს დაეთმობა რესპუბლიკის კლუბების, კულტურის სახლების, სპორტული ბაღების დარბაზები. ყველგან — შინ თუ გარეთ ათასფერად მორთული ტყის დედოფლები გაახარებენ ნორჩების გულებს.

განსაკუთრებით ლამაზად მორთულია ამ დღეებისათვის თბილისის სახელმწიფო ცირკი. აქ დაიდგმება დიდი საქალაქო ნაძვისხე, რომლის გარშემო 31 დეკემბრიდან 10 იანვრის ჩათვლით იზეიმებს 45.000-ზე მეტი ბავშვი. ცირკის მსახიობები ნორჩი სტუმრებისათვის ამზადებენ სპეციალურ საახალწლო პროგრამას.

საახალწლო ნაძვისხეები მოეწყობა აგრეთვე პლეხანოვის სახელობის კლუბში, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, მასწავლებლის სახლში, რკინიგზელის სახლში. აგრეთვე დედაქალაქის სხვა კლუბებში, კულტურის სახლებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში. საახალწლოდ მორთულია ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი.

ნაძვისხის გარშემო მოზეიმე ბავშვებისათვის გამართულ კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის დედაქალაქის თეატრებისა და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმოქმედი კოლექტივები.

საქალაქო ნაძვისხეები, გარდა თბილისისა, დაიდგმება ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, ქუთაისში, გორში, რუსთავში, ტყიბულში, ტყვარჩელში და სხვა ქალაქებში.

* * *

გარდა საახალწლო ნაძვისხეებისა, მოსწავლეები არდადეგების დღეებში დაისვენებენ სახამორო პიონერთა ბანაკებში, რომლებიც მოეწყობა ბაკურიანში, წყნეთში, მწვანე კონცხსა და სოხუმის ტურისტულ ბანაკში. აქ დაისვენებს 700-ზე მეტი ბავშვი.

* * *

1 იანვრიდან თბილისიდან გავა ბავშვთა ტურისტული მატარებელი, რომელიც წაიყვანს 420-ზე მეტ მოსწავლეს, მეტ წილად უფროსკლასელებს. ტურისტები გაეცნობიან მომავალ რესპუბლიკების ქალაქებს — კიევს, ლენინგრადს, მოსკოვს. დაათვალიერებენ ამ ქალაქების ღირსშესანიშნაობებს, შეხვდებიან უკრაინელ, რუს პიონერებს.

* * *

თითებზე ჩამოსათვლელი დღეებია რჩება ახალ წლამდე. ამიტომაც არის, რომ ასეთი გამოცოცხლებულია მაღაზიებში, იქ, სადაც იყიდება ლამაზი ნაძვისხეები და მათი სამკაული. სურათზე: საახალწ-

ს. ი. გაღახაბაძე

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პერსონალური პენსიონერი ეტიხი (ალიოშა) ივანეს-ძე გადახაბაძე. იგი დაიბადა 1900 წელს სოფელ ორმეთში (მახარაძის რაიონი), ძველი რევოლუციონერის ოჯახში, სადაც 1917-20 წლებში სისტემატურად იკრიბებოდა არალეგალური კრებები.

ე. გადახაბაძე 1917 წელს მუშაობას იწყებს ბათუმის რკინიგზის დეპოში მეანმენქანის თანაშემწედ, სადაც 1920 წელს შედის არალეგალური კომკავშირული ორგანიზაციის წევრად. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1924 წლამდე სხვადასხვა სამუშაოზე იყო კომკავშირის ხაზით.

1924 წელს ე. გადახაბაძე შედის კომუნისტური პარტიის რიგებში. ამ წლიდან იგი პარტიის დავალებით იგზავნება სხვადასხვა პასუხსაგებ სამუშაოზე. იყო საქართველოს კომუნალური ბანკის ერთ-ერთი განყოფილების გამგე, მუშგლეხთინის სახალხო კომისარიატის საფინანსო ჯგუფის ხელმძღვანელი და კოლეგიის წევრი, სამრეთო ოსეთში მუშგლეხთინის საოლქო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე, სირნალის რაიონის მტს-ის პოლიტიკური განყოფილების უფროსი. მუშაობდა სახბანკის საქართველოს კანტორის სარეგიზიო სამმართველოს უფროსად, ხოლო 1937 წლიდან 25 წლის განმავლობაში უცვლელად იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი.

ე. გადახაბაძე გულთბილი და გულისხმიერი ადამიანი იყო. ყველგან, სადაც იგი მუშაობდა, ამხანაგებისა და მეგობრების სიყვარულით და აუტორიტეტით სარგებლობდა.

ე. გადახაბაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

მსაჯი ესვრის ფეხბურთელებს

რომი, 24 დეკემბერი. (საკლესი). დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. ფეხბურთელთა მატჩის დროს, რომელიც იტალიის პატარა ქალაქ პომეციაში გაიმართა, შეხვედრის მსაჯმა სროლა აუტეხა მოთამაშეებს. დიახ, სენორ ფრანკო კონჩატორი ცდილობდა დაემშვიდებინა მეტისმეტად ტემპერამენტიანი ფეხბურთელები თავისი სასტვენის დახმარებით, მაგრამ მისი მეცადინეობა ამაო აღმოჩნდა. არავინ არ აქცევდა ყურადღებას მის მითითებებს. მაშინ თავმოყვარეობაშელახულმა სენორ კონჩატორმა ჯიბიდან იძრო ბრაუნინგი და ჩახმახს თითი გამოაკრა.

პირველივე გასროლამ სტადიონის ტრიბუნებზე მყოფ მაყურებელთა უდიდესი გულისწყრომა გამოიწვია. ბედუკუღმართი მსაჯი, რომელსაც ლინჩის წესით გასამართლებისა შეეშინდა, იძულებული გახდა გაქცეულიყო მოედნიდან. პოლიციელებმა იხსნეს სენორ კონჩატორი ბრბოს თვითგასამართლებისაგან, მაგრამ იქვე ბრალად დაედო იარაღის უკანონოდ ტარება და ბანდიტიზმი და სამართალში მისცეს.

საბჭოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

ტაშკენტის „პახტაკორმა“ დაამთავრა ტურნე ინდონეზიაში. უკანასკნელი, რიცხვით მეხუთე მატჩი საბჭოთა ფეხბურთელებს ჰქონდათ ჯაკარტაში ადგილობრივ ნაკრებთან და მორიგი გამარჯვება მოიპოვეს ანგარიშით 2:0.

ამ დღეებში საზღვარგარეთ (თურქეთი გვინეა, მალი) ტურნის მოსაწყობად კიდევ ორი გუნდი გაემგზავრა. ესენი არიან ლენინგრადის „ზენიტი“ და დონის როსტოვის სკა. პირველი მატჩი ლენინგრადის „ზენიტს“ ჰქონდა ანკარაში ცნობილ საკლუბო გუნდ „გალატა სარაისთან“ და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0.

ბუენოს აირესში ფეხბურთელთა კოლექტივი პარიზში შეხვდა „რესინგის“ საკლუბო გუნდს და დამარცხება განიცადა ანგარიშით 1:5.

ნ. ასათიანის წარმატება

ოდესა, 24 დეკემბერი. (საკლესი). დამთავრდა მოფარიკავეთა მეხუთე ასპარეზობა სსრ კავშირის თასზე. უკანასკნელ დღეს ხმლით ფარიკაობის ოსტატთა შორის წარმატებით გამოვიდა თბილისელი სტუდენტი ნუგზარ ასათიანი. მეოთხედფინალში მან ადვილად, ანგარიშით 10 : 2 მოუგო მსოფლიოს ექსჩემპიონ იაკობ რილსკის. ნახევარფინალში — ლევ კეშნეცოვს, ფინალში (10 : 8) — უზბეკ მოფარიკავე ვალერი ხარხალუშს და პირველი ადგილი დაიკავა.

მოფარიკავე ქალთა შორის სსრ კავშირის თასზე ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მისაკელი ტატიანა სამუსენკო და მოსკოველი ვალენტინა რასტვოროვა. ანგარიშით 8:3 გაიმარჯვა სამუსენკომ.

ევროპის თასზე ხელგურთში

ვარშავა, 24 დეკემბერი. (საკლესი). როგორც პოლონეთის პრესის საგენტო იუწყება, დღეს კატოვიცში გაიმართა მატჩი ევროპის თასზე ხელბურთში ქალთა გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ პოლონეთის გუნდი „რუხი“ (ბოტეკი) და სსრ კავშირის ჩემპიონი საზოგადოება „ტრუდის“ გუნდი (მოსკოვი). მატჩი დამთავრდა ფრედა ანგარიშით 11:11.

უკანასკნელი ტურის წინ

თბილისსა და ლენინგრადში დასასრულს უახლოვდება „ა“ კლასის კალათბურთელთა ზამთრის ტურნირის პირველი ეტაპი. გასულ კვირადღეს სპორტის სასახლეში შედგა მორიგი შეხვედრები.

ლენინგრადის „სპარტაკმა“, რომელიც სატურნირო ცხრილის სათავეში დგას კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა, დამარცხა ოდესის „ბურევესტნიკი“ ანგარიშით 59:54. მეორე ლიდერის — სვერდლოვსკის „ურალმაშისა“ და ფრუნზეს სკიფ-ის გუნდების ორთაბრძოლაში სვერდლოვსკელთა უპირატესობა აშკარა იყო და გამარჯვებაც მათ ხვდათ 64:56.

წარმატებით მიიწევენ ფინიშისაკენ თბილისის „დინამოს“ კალათბურთელები, რომლებმაც ზედიზედ მოიგეს მატჩები და ლიდერთა ჯგუფში მოექცნენ. გასულ კვირადღეს დინამოელები თამაშობდნენ მინსკის სპარტაკელთა წინააღმდეგ. მართალია, პირველი ტაიმი დამთავრდა 25:26, მაგრამ მეორე ნახევარში თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 69:53.

დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის ჩემპიონის არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და კაუნასის „ყალგირისის“ გუნდების შეხვედრამ. კაუნასელი კალათბურთელები მოქმედებდნენ აქტიურად, ინიციატივიანად და წარმატებასაც მიაღწიეს. მათ დაამარცხეს ჩემპიონი 69:51. ტარტუს „კალევმა“ მოუგო დუშანბეს „ტაჯიკისტანს“ 57:49.

გუშინ შედგა უკანასკნელისწინა ტურის შეხვედრები.

ნ. ფირცხალავას ნახატების გამოფენა

მხატვარ იუმორისტის გ. ფირცხალავას სახელი კარგად არის ცნობილი ფართო საზოგადოებრიობისათვის. მისი კარიკატურები ამაოებენ უსაქმურებს, მუქთახორებს, ამხილებენ ცხოვრების არანორმალურ მოვლენებს.

გ. ფირცხალავას მეგობრული შარეები და კარიკატურები ხშირად გვხვდება რესპუბლიკურ, ცენტრალურ და საზღვარგარეთულ პრესაში. მისი კარიკატურა „კონსერვატორები“ გამოქვეყნებული იყო გაზეთ „პრავდაში“, პლაკატმა „აფრიკა იღვიძებს“ მსოფლიოს ბევრი ქვეყანა შემოიარა.

ამ დღეებში ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიხსნა გ. ფირცხალავას ნაწარმოებთა გამოფენა. (საკლესი).

აფხაზური წიგნის პირველი ფურცლები

აფხაზი ხალხის საზეიმო დღე და აფხაზური მწერლობის გამარჯვება ყოველი ჩვენგანის სიხარულია!

დღეს, 25 დეკემბერს სამოცი წელი უსრულდება გამოჩენილ აფხაზ რომანისტს ივანე პაპასქირს!.. სამოცი წელი შემოქმედი მწერლისათვის მხოლოდ სიმწიფის მაუწყებელია და არა დაბერების!—მით უფრო მაშინ, როცა თვით მწერლობა თითქმის მწერალზე ახალგაზრდაა, — ივანე პაპასქირის პირველი რომანი — პირველი აფხაზური რომანია და პირველი წიგნთაგანი, რომელიც აფხაზ მოსწავლეს სკოლის კარებშიც ეგებება და დედა-ენასა ასწავლის... ამიტომაც დიდია და მრავალმხრივად ყურადსაღები ჩვენი თანამედროვე რომანისტის ივანე პაპასქირის ღვაწლი... და ეს, როგორც ვხედავთ, შეუმჩნეველი არ დარჩენია ჩვენს ხალხს, ჩვენს პარტიას, ჩვენს დიდ საბჭოთა ლიტერატურას.

ისე როგორც დიმიტრი გულია და სამსონ ჭანბა, ივანე პაპასქირი აფხაზური წიგნის პირველი ფურცლებია!

ვინც პირველად ხედავს აფხაზეთის თვალწარმტაც ბუნებას, მთებიდან ზღვამდე ელვად ნასროლ მდინარეებს, ტყეებს, და ფერადი ქვებით მოჭედილი მიწის მოზაიკას, ვინც ერთი წამით ცამდე მიაყოლია სოფელ-სოფელ ლურჯა ცხენით გადარბენილ ბილიკებს, ის ალბათ აფხაზეთს და ამ ვაჟკაცური შემართების ხალხს ცამდე ამაღლებული სიმღერებითა და ლეგენდებით უფრო წარმოიდგენს. მაგრამ დღევანდელ დიდ ლიტერატურას ლექსთან და ხალხურ თქმულებებთან ერთად რომანისა და მოთხრობის ფართო ტილო ქმნის. აფხაზი ხალხის მრავალფეროვანი ცხოვრება თავის მრავალფეროვან ამსახველს მოითხოვს, და ნიჭიერი აფხაზი რომანისტის კალამიც ცდილობს ხალხის ყოფა და ხალხის სულიერი ვიდიდებულად უვლიან ჩვენს ეროვნულ საუნჯეს — ხალხურ ცეკვებს. დიდი მადლობისა და სიყვარულის ღირსნი არიან ნინო რამიშვილმ და ილიკო სუხიშვილი, ასეთი სახელოვანი ანსამბლი რომ ჰყავთ და ჩვენ ხალხს საზღვარგარეთ სახელს უხვევენ. ამ სიყვარულითა და პატივისცემით დიახაც დამსახურებულად სარგებლობენ ჩვენი სახიერქალული ხელოვანნი.

ვ. როსტომშვილი — გაზეთებში ხშირად ვკითხულობ ჩვენი ანსამბლის დიდ გამარჯვებებზე უცხოეთის ქვეყნებში. ახლა, როცა ამ კონცერტს დავესწარი, სრულებით არ მაკვირვებს ეს ცნობები, პირიქით, სავსებით ბუნებრივად მიმაჩნია. ვის არ მოხიბლავს და არ აღაფრთოვანებს ეს ღრმადშინაარსიანი, ცეცხლოვანი და მშვენიერი ცეკვები.

თ. სვიმონიშვილი — არც კი ვიცი, რა უნდა გითხრათ, როგორ გამოვხატო ჩემი სიხარული. მე, ცხადია, ხელოვნებას ისე კარგად არ ვიცნობ, რომ ასეთ ანსამბლზე რაიმე საინტერესო აზრი გითხრათ. როცა მე ვამბობ **ძალიან მოიწონს**, ეს ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს, ამიტომ მინდა გავიმეორო — მომეწონა, ძალიან მომეწონა.

ბ. კუზმეკი — ინჟინერ-ტექნოლოგი, თბილისის ფეხსაცმლის ცენტრალური ლაბორატორიის თანამშრომელი: უპირველესად ის უნდა გითხრათ, რომ კონცერტზე უბრალო ცნობისმოყვარეობამ როდი მიმიყვანა. მე ვიცნობ ქართველ ხალხს, მის ჩვეულებებს, ხასიათს, მის კეთილშობილებასა და სტუმართმოყვარეობასა. ნამდვილ კარგად ვიცნობდე ავრეთვე მის კულტურას, ხელოვნებას, მდიდარ კულტურულ წარსულს. მინდა გულწრფელად გითხრათ, რომ დიდი სიხარული, სიამოვნება და სიტკბობა მომანიჭა კონცერტმა. გთხოვთ, თუ შესაძლებელია, ჩემი გულითადი მადლობა გადასცეთ ანსამბლის ხელმძღვანელებს, მის ყველა მსახიობს იმ სიტკბობისათვის, რაც თავიანთი ხელოვნებით განმაცდევინეს.

ა. ძამაშვილი — რუსთაველი მეფოლადე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი: ჩვენ, ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქის რუსთავის მკვიდრთ, ძალიან გვიყვარს სიახლე, ძიება, შრომა. ამასთანავე გვიყვარს და ვაფასებთ ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვან კულტურას და ხელოვნებას, ხალხურ შემოქმედებას. ჩვენი საყვარელი ანსამბლის კონცერტები ნამდვილი ზეიმია მაყურებლისათვის. მე მგონია, ყველას, ვისაც სურს იცნობდეს ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას, იგრძნოს ჩვენი ხალხის სულის ბუნება, აუცილებლად უნდა დაესწროს ამ დიდი ანსამბლის კონცერტებს. სასიხარულოა, რომ მისი პროგრამა ივსება ახალი ცეკვებით.

* * *

ივანე პაპასქირის დაბადების 60 წლისთავის გამო

ივანე პაპასქირი საყვარელი მწერალია ყველა ერის და საყვარელი ადამიანიც. პირადი მეგობრობა ნებას არ მაძლევს ვიყო უფროს პათეტიკური. ჩემს მოსაზრებას სხვებთან ერთად ვუგზავნი და ძმური ღიმილით ვეხმიანები. ჩვენი ღვაწლმოსილი იუბილარი ჩემთვის ისევე თავმდაბალი და მოკრძალებული სახით ჩანს, როგორც ყოველთვის. ჩვენ მისი ამაღლებული ხმა და ყოყოჩი წარმოხტომა არ გვახსოვს. ის მეფად ჩუმი, მტკიცე და პრინციპული იყო. მე მისი წყნარი სოფელი მინახავს და ზღვისწინ ჩაფიქრებით მდგარი მთებიც მის ხასიათს მინდა დავუკავშირო... ვინც ახლო მივა მათთან და მათ გულს გახსნის, იქ აბრსკილისა და ამორანის ცეცხლსაც ნახავს. ივანე პაპასქირის ოდა-სახლიც სტუმართმოყვარეა, მის ფაცხაში, ისე როგორც ჩვენს ფაცხაში, კერა პირველი ვარსკვლავების ცეცხლით არის დანთებული.

აფხაზურ დღეგრძელობას ვუსურვებ იუბილარს!

კარლო კალაძე.

,,მოსკვიჩი“ — ლატვიის გილეთით

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). სოფელ აცაანის კოლმეურნეობის აბრეშუმეულოვნების ბ. ცანავამ ამ დღეებში ლანჩხუთის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა აქციე შეძენილი 1962 წლის მეოთხე ნამოქმედების ფულისა და ნივთების ლატვიის გილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

,,ბოსტანი“ — ,,ბოსტანი“

ბ. ფირცხალავა — ,,ბოსტანი“ — ,,ბოსტანი“ — ,,ბოსტანი“